# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 24 ივლისი 1998 №127 (662) ფასი 40 თეთრი




# ვლადიმერ გუცაევი: ჩემი საზრუნავი ეროვნული ნაკრებია

სიმართლე გითხრათ, ვლადიმერ გუცაევს წინასაარჩევნო პერიოდის ირგვლივ ატეხილი აურზაურის გამო ვესტუმრეთ. მით უმეტეს, რომ ყრილობის გადადების ძირითად მიზეზად ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა ნაკრების მთავარი მწვრთნელის თხოვნა დაასახელა, ეროვნულმა გუნდმა წლეულს გასამართ შესარჩევ თამაშებში წარმატებას რომ მიაღწიოს, ყრილობა ოქტომბრის ბოლოს ჩატარდესო. თუმცა ბატონმა ვოვამ წინასაარჩევნო თემას თავი აარიდა და ჩვენი საუბარიც ნაკრებით შემოიფარგლა.

— გუცაევისთვის სულ ერთია, ვინ იქნება პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, ჩემი კანდიდატი მყავს, ამას უშუალოდ კენჭისყრის წინ განვაცხადებ, მაგრამ, ფაქტობრივად, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ფედერაციის სათავეში მოვიდეს ადამიანი, რომელიც დიდ საქმეს გააკეთებს ქართული ფეხბურთისთვის. დღევანდელი კანდიდატებიდან ყველა ჩემი მეგობარია და ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ყრილობით გამოწვეული მითქმა-მოთქმა ნაკლებად მაინტერესებს. მე, უბრალოდ, ჩემს საქმეს ვაკეთებ, ჩემი ფიქრები გამუდმებით ნაკრებს უტრიალებს და დამეთანხმებით საზრუნავი საკმაოდ მაქვს.

**— ამ ცოტა ხნის წინ ჩვენს კითხვას, ნაკრებში რა ცვლილებებია მოსალოდნელი, არ უპასუხეთ, მაგრამ აღნიშნეთ, რომ ბევრს მოუხდებოდა ქვეყნის უპირველესი გუნდის დატოვება. ხომ არ დააკონკრეტებდით სათქმელს?**

— სწორად მითქვამს, ბევრი დატოვებს ნაკრებს, ბევრსაც უკანასკნელად მიეცემა შანსი. დაკონკრეტებისგან კი თავს შევიკავებ, ამას უკრაინელებთან მატჩისწინა განაცხადიდან შეიტყობთ. მე არაერთხელ განვაცხადე, რომ ნაკრებში გულგრილი ხალხი არ იქნება. გუნდში უნდა ითამაშონ იმ ბიჭებმა, რომლებიც ყველაფერს გაიღებენ ეროვნული გუნდის ღირსების დასაცავად, ბოლომდე გაირჯებიან საერთო საქმისთვის. ნაკრებში პატრიოტები უნდა თამაშობდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგი არ იქნება. აქ არა მარტო ჩემი და ნაკრების, არამედ საქართველოს პრესტიჟზეა საუბარი. რუსეთის ნაკრებთან შეხვედრის წინ დავინახე, რომ ბევრმა ფეხბურთელმა არასერიოზულად აღიქვა ეს თამაში. ცალკეულმა ფეხბურთელებმა სხვადასხვა დროს დაამთავრეს სეზონი თავიანთ კლუბებში, ზოგმა 3 მაისს, ზოგმა ერთი კვირის მერე, ზოგმაც უფრო გვიან, მაგრამ თითოეულმა იცოდა, რომ 30 მაისისთვის (რუსეთთან თამაშის დღეს) მზად უნდა ყოფილიყვნენ. მაინც ზერელედ მოეკიდნენ საქმეს და ნაკრების ინტერესები უკანა პლანზე გადაწიეს. აი, ამგვარი ვითარებაა, ამიტომაც არის მოსალოდნელი ცვლილებები.

**— ეს ცვლილებები, ალბათ, ახალწვეულთა დამატებსაც ითვალისწინებს.**

— რა თქმა უნდა. ამ მხრივ ბევრს ვაკეთებთ. ჩვენ დავინტერესდით წერეთლით, რომელისაც პრესა ქებას არ აკლებს. კარგი შედეგები აქვს დემეტრაძესაც, აუცილებლად გამოვცდით ჭიჭვეიშვილსაც. ბუნებრივია, რა დონის ნაკრებიც უნდა გვყავდეს, შევსება და კონკურენცია ყოველთვის საჭიროა. თუ ფეხბურთელი თავისი კლუბისთვის მაქსიმალურად დაიხარჯება, მას ყოველთვის მივცემთ შანსს.

**— 12 აგვისტოს ჩვენი კლუბების ნაკრებს აზერბაიჯანელებთან ელის შეხვედრა.**

— ეს თამაშიც სათვალავში ჩასაგდებია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წამყვანი ლეგიონერები არ ითამაშებენ, საინტერესო იქნება ახალგაზრდების გამოცდა და იმ ფეხბურთელთა საქმეში ნახვა, რომლებიც ამინდს ქმნიან ჩვენი ქვეყნის კლუბებში. ამ ნაკრებს გიგლა იმნაძე უხელმძღვანელებს. მე, უბრალოდ, დამკვირვებლის როლში ვიქნები.

**— უკრაინის ნაკრებთან შეხვედრა თავისთავად ანგარიშგასაწევია და კიევში თამაში, ალბათ, ბევრსაც მოგვცემს. მაგრამ, როგორ ფიქრობთ, ეყმარებს იგი შესარჩევი ციკლისთვის მოსამზადებლად?**

— ჩვენ რიგი ამხანაგური მატჩების გამართვას ვაპირებდით, ამაზე ბევრი ვიმუშავეთ, მაგრამ ბოლოს რეალურად მხოლოდ უკრაინის ვარიანტი შეგვრჩა ხელთ. გეთანხმებით, ეს თამაში საკმარისი არ არის, სასურველი იყო კიდევ ერთიორი შეხვედრის გამართვა, რაც ნაკრების დაბალანსებისა და ძირითადის გამოკვეთის საშუალებას მოგვცემდა. თუმცა ვეცდებით, უკრაინელებთან შეხვედრა მაქსიმალურად გამოვიყენოთ, რათა 5 სექტემბერს სრულიად მობილიზებულნი შევხვდეთ.

**— როგორ ფიქრობთ, იმ პოტენციალით, რაც დღესდღეობით ჩვენს ნაკრებს გააჩნია, რა შედეგების მიღწევა შეიძლება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში?**

— მართალი გითხრათ, იმ ამხანაგურ თამაშებში, რომლებიც ჩვენ ჩავატარეთ, კარგი შედეგების მიუხედავად, ბევრი ხარვეზიც იყო, რაც ჟურნალისტებსაც არ გამოგრჩენიათ, მაგრამ გარწმუნებთ, ამ მხრივ სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. რაც შეეხება შესარჩევ ციკლს, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ წლევანდელ თამაშებს ალბანეთთან, ლატვიასთან და საბერძნეთთან. აქ უნდა ვიმარჯვოთ, რათა მერე მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ. თანდათან თვალშისაცემი ხდება ის ფაქტორიც, რომ ნაკრები შედეგისთვის თამაშობს. ეს უმთავრესია. ძირითადი, რასაც თითოეულ ფეხბურთელს ვთხოვ, შედეგია. სხვა მხრივ წარმატება წარმოუდგენელია. ჩვენ სწორედ ამისთვის ვიბრძოლებთ.

პაატა ქვანტალიანი

# საქმოს დღეს ასამართლებენ

გუშინვე ითქვა, თურმე მარტო ჩვენ არ გვეშლება.
გუშინწინდელი დღით უკმაყოფილონი და მერამდენედ ხელჩაქნეულნი, ალბანელების საბედისწერო შეცდომამდა დაგვაიმედა.
გუშინწინდელივე „დინამო“ — „ვლაჟნიას“ თამაშის მნახველნი გულგაბზარულნი ვტოვებდით სტადიონს და ერთმანეთს ვერ ვუმხელდით, თორემ ჩვენი ჩემპიონის შემდეგ ეტაპზე გასვლის რწმენა-იმედი შერყეული გვქონდა.
ძალიან დავჩიავებულვართ, რომ სხვის შეცდომას სიხარულით ვებღაუჭებით, სხვისი უბედურებით საკუთარი ბედნიერების შექმნა მოგვიწადინია. ეს პატარაობის კიდევ ერთი ნიშანია, მაგრამ „ვლაჟნიამაც“, რაც შეიმთხვია, თავს დააბრალოს.
ალბანელებმა შეცვლაზე განაცხადში შეუყვანელი ფეხბურთელი რომ ათამაშეს, ამან იმედი გაგვიღვივა — ის, რაც თამაშით ვერ შევძელით, ეგებ, წეს-კანონით შევძლოთო. „დინამომ“ ალბანელებს შინ ოდენ 1:0 რომ მოუგო, საქმე გაირთულა — ამ წყვილის საბოლოო გამარჯვებულის გამოვლენა ერთი კვირით გადაავადა.
ჰოდა, თავს იმითღა ვიმშვიდებთ, ერთხელ სხვასაც შეეშალოს, ჩვენ დავრჩეთ გამარჯვებულნიო.
დღეს თბილისის დროით 12 საათისთვის უეფას სადისციპლინო კომიტეტი შეიკრიბება და ვერდიქტსაც გამოიტანს. წესით „ვლაჟნიას“ 0:3, „დინამოს“ კი 3:0 უნდა ჩაუთვალონ. წესი წესია და ამიტომაც ჯერ კიდევ გამარჯვებულის როლში ყოფნით გულდამშვიდება არ ეგების.
სამართალი პურსა სჭამს, თავის გზას არც სანთელ საკმეველი და კარგავს, მაგრამ, თუ უეფამ, რაც უნდა გააკეთოს, სწორედ ის მოიმოქმედა, „დინამოს“ ვალად ერთიღა დარჩება, ქომაგებს ეჭვი და უიმედობა რომ განუქარვოს, ტირანაშიც უნდა მოიგოს. თუმცა, ამ მოგებას უკვე ფასიც ნაკლები ექნება.



ლევან ხომერიკს ის ერადერთი გოლი რომ არ გაეტანა, მაშინ ტექნიკური 3:0 ბევრად სანატრელი იქნებოდა

# ბასკებს ორჯერ მეტნი დავუხვდებით

## უეფამ ბილეთების რაოდენობის გაორმაგების ნება დაგვრთო

გულშემატკივრებმა კარგად უწყიან, რომ უეფას მითითებით ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ევროთასების მატჩებს 9 ათას (2 ათასი ინდივიდუალური სკამი, 7 ათასი — მთლიანი ტევადობის 10 პროცენტი) მაყურებელზე მეტი ვერ დაესწრება. ამ შეზღუდვას „დინამოს“ გუშინწინდელ შეხვედრაზე ქომაგთა მხრიდან არანაირი გართულება არ მოჰყოლია. ეს, ალბათ, სუსტი მეტოქის ფაქტორმაც განაპირობა, მაგრამ თუ ღმერთმა ქნა და ალბანეთში საფეხბურთო ომობანას თავი გამარჯვებულებმა დავაღწიეთ, აი, მაშინ რა მოხდება, არავინ იცის. 62 წლის წინათ ბასკები თბილისში რომ ჩამოვიდნენო... გაგვიგონია. ნათესავ მობურთალთა ხილვას დანატრებული ქართველები სტადიონს რომ ბლომად მოაწყდებიან, ეს ფაქტი ეჭვს აღარ იწვევს. ეტყობა, უეფაშიც გაიფიქრეს, ამდენი ხნის უნახავთ ანგარიში გავუწიოთო და მომდევნო მატჩისთვის ფედერაციას შემოუთვალა — ჯანდაბას თქვენი თავი, 10 პროცენტი კიდევ დაგვიმატებიაო. მიკერძოებაში რომ არ ჩაგვთვლოდათ, ამ გადაწყვეტილების საბაბად „დინამო — ვლაჟნიას“ თამაშზე ქართველი გულშემატკივრების შეზღუდული რაოდენობა და სანიმუშო ყოფაქცევა დაუსახელებიათ. მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ წესრიგის მცველებმა თუ სათანადო სიფხიზლე არ გამოიჩინეს, შეიძლება ბასკებთან თამაში სანატრელი გაგვიხდეს.

ხვიჩა სანიძიძე

# ფრანგებმა ბორჯღალოსნები მოატყუეს

ქართველების თავგადასავლები მავანთ არც დაესიზმრებათ. განსაკუთრებით ეს სპორტსმენებზე ითქმის. მათ ჩამოთვლას ახლა არ შევუდგებით, მხოლოდ ახალმომხდარზე გეტყვით. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები გუშინწინ საფრანგეთს გაემგზავრა ტურნეს გასამართავად. ბორჯღალოსნებს სამი მატჩი უნდა ეთამაშათ, მაგრამ მიზეზთა გამო მხოლოდ ორის ჩატარება მოუწევთ, თუმცა ესეც საკითხავია, მოუწევთ თუ არა. საქმე ისაა, რომ პარიზში ჩასულებს ერთი შეხვედრა იმ დღესვე უნდა გაემართათ, მაგრამ მეტოქე არ დაუხვდათ. რა იყო ამის მიზეზი, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. არც ის ვიცით, ვის და რას უნდა დაბრალდეს ამგვარი რამ, ქართულ დაუდევრობას თუ ფრანგთა უნამუსობას. ასეა თუ ისე, ქართულმა მხარემ იზარალა. იმედია, გუნდისა და რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა დარჩენილი ორი შეხვედრის ჩატარებაზე მეტის მონდომებით იზრუნებს.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

1998-99 წლების საფეხბურთო სეზონის აკრედიტაციის მისაღებად გთხოვთ განაცხადი წარადგინოთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში. 23-28 ივლისს 11-14 საათამდე.

# დამატებითი დრო ოქროს გოლის გარეშე

ალექსანდრე ჩივაძის მიერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში კანდიდატურის მოხსნის შემდეგ, ბევრის აზრით, გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი ჩვენი ჩემპიონი კლუბის თავკაც მერაბ ჟორდანიას ჰქონდა, მაგრამ ყრილობის ჩაშლამ ჟორდანიას ანაც სხვისი გაპრეზიდენტების საკითხი მინიმუმ სამი თვით გადადო. ადვილი შესაძლებელია, ამ ხნის განმავლობაში ახალი კანდიდატიც გამოჩნდეს. ძველებსაც, ფაქტობრივად, ხელახლა მოუწევთ საარჩევნო კამპანიის დაწყება, ისე კი ნორმალურად არც მანამდე ჰქონდათ დაწყებული. ახლა იქნებ როგორმე მოხერხდეს და თითოეულმა მონაწილემ პროგრამა წარმოადგინოს, მით უმეტეს, ბრძოლას შერჩენილი სამივე პრეტენდენტი აცხადებს, რომ მზად აქვს სამოქმედო გეგმა, მაგრამ მიზეზთა გამო მას არ აქვეყნებენ. ვნახოთ, რა იქნება, წინ სამი თვეა. ყველა თავისებურად გამოიყენებს ამ დროს, ერთი კია, ბრძოლა უშელავათო იქნება და გამორიცხული არც ისსაა არცთუ სუფთა გამოვიდეს. ყრილობის სამი თვით გადადების ანუ უოქროსგოლო დამატებითი დროის თაობაზე პრეზიდენტობის ორ კანდიდატს, რამაზ გოგლიძეს და ილია დათუნაშვილს ვთხოვეთ კომენტარი. ცხადია, ახლა, ფედერაციის აღმასკომის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ორი-სამი დღის გასვლის შემდეგ საინტერესოა, როგორ აპირებენ ისინი ოვერტაიმის გამოყენებას. მერაბ ჟორდანია კი თბილისიდან გასული გახლდათ და მასთან საუბარსაც ამ ცოტა ხანში გაახლებთ.



გურამ ფილიპენჯაშვილის ფოტო

## ილია დათუნაშვილი: არ მეგონა, არჩევნებში თუ ამდენი სიბინძურე გაერეოდა

— სიმართლე რომ გითხრათ, ყრილობის გადადება ხელს არ მაძლევდა, მაგრამ რას ვიზამ, მე მგონი, ეს არც არავის სურდა. თუმცა იქნებ ვცდები და ვინმეს წაადგეს კიდეც ყრილობის გადავადება. მე კი ვიმეორებ, ხელს არ მაძლევდა იმიტომ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვემზადებოდი არჩევნებისთვის, გარკვეული სამუშაოები ჩავატარე, დღეს კი კანდიდატები ტელევიზიით უნდა წავმდგარიყავით ფართო აუდიტორიის წინაშე პირდაპირ ეთერში, რათა საზოგადოებას გაერკვია, ვინ ვინ არის და ვინ შეიძლება დღესდღეობით ქართული ფეხბურთის მესაჭე იყოს. მაგრამ რატომ გადაიდო ყრილობა, რა მოხდა, როგორ და რანაირად, ჩემთვის გაუგებარია. რამდენადაც ვიცი, ფეხბურთის ფედერაციამ და სპორტის დეპარტამენტმა ერთობლივი კოლეგია ჩაატარეს, რომელზეც საქმიანობას მოვახმარ.

**— პროგრამის წარმოდგენას არ აპირებთ?**

— პროგრამა დიდი ხანია, მზად მაქვს, მაგრამ ადრეც აღვნიშნე, რომ მის გამოქვეყნებას ყრილობამდე ერთი კვირით ადრე ვაპირებდი. როგორც ხედავთ, ყრილობა გადაიდო. პროგრამა ხვალევე შემიძლია გამოვაქვეყნო, მაგრამ არის მიზეზები, რომელთა გამოც ამას არ გავაკეთებ.

**— ერთი კვირა ძალიან ცოტა დრო ხომ არ არის?**

— არა, რატომ. იცით, კიდევ რამ გადამაწყვეტინა პროგრამის ერთი კვირით ადრე გამოქვეყნება? არც ერთ კანდიდატს არ უთქვამს, ჩემს მომავალ საქმიანობას ხვალევე გაგაცნობთო, ხოლო იმ თოთხმეტ ძირითად საკითხზე, რომლებიც ფეხბურთის განვითარების ჩემეულ გეგმას უდევს საფუძვლად, პირვეყრილობის გადატანა გადაწყვიტეს, ფეხბურთის ფედერაცია ყრილობის ნორმალურად ჩასატარებლად მზად არ არისო.

**— დღესდღეობით ფედერაციას არ ჰყავს თავისი კანდიდატი. როგორ ფიქრობთ, ამ სამი თვის განმავლობაში ფედერაციის მუშაკებიდან თუ წამოაყენებს ვინმე კანდიდატურას?**

— უპირველესად მინდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის ყოვლად გაუგებარია, რატომ მოხსნა კანდიდატურა ალექსანდრე ჩივაძემ. რა დასამალია — იმიტომ, რომ გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი სწორედ მას ჰქონდა, მაგრამ სხვანაირად მოიქცა და თავისი სახე გამოავლინა. ჩემთვის ასეთი საქციელი მიუღებელია.

**— როგორ აპირებთ ამ სამი თვის განმავლობაში წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვას და თქვენი აზრით, ამ ხნის განმავლობაში თქვენი შანსები მოიმატებს თუ პირიქით?**

— შანსები, მგონი, რაც იყო, იგივე რჩება. საერთოდ ვფიქრობ, რომ ყველა კანდიდატს თანაბარი შანსი აქვს. რაც შეეხება საარჩევნო კამპანიას, მას ისევე წარვმართავ, როგორც აქამდე. წელანაც აღვნიშნე, რომ ამისათვის ბევრი გავაკეთე, ამ სამ თვესაც წინასაარჩევნო ლსავე პრესკონფერენციაზე ვისაუბრე. ჟორდანია ამბობს, პროგრამა მაქვსო, მაგრამ გამოქვეყნებული ვერსად ვნახე. ისე, როგორც აღმოჩნდა, მერაბი კარგა ხნით ადრე ფიქრობდა პრეზიდენტობაზე, თორემ ისე გამოდის, რომ ერთ მშვენიერ დღეს პრეზიდენტობა გადაწყვიტა და მეორე დღეს კანდიდატურა წამოაყენა, ამას სამასგვერდიანი პროგრამაც თან დაურთო. თუ მას ერთ დღეში ქართული ფეხბურთის კრიზისიდან გამოყვანის სამასგვერდიან პროგრამის შედგენა შეუძლია, კაციც ეგა ყოფილა. ჩვენ იქ არაფერი გვესაქმება.

**— რახან ადრევე ჰქონდა გადაწყვეტილი პრეზიდენტობა, ალბათ, დიდ გარჯასაც გასწევდა ხმების მოსაგროვებლად.**

— რა თქმა უნდა. ჩივაძის გადაწყვეტილებაც ამის დასტურია. ისე კი, სიმართლე გითხრათ, რომ მცოდნოდა, არჩევნებში ამდენი სიბინძურე გაერეოდა, კანდიდატურას ნამდვილად არ წამოვაყენებდი, მაგრამ ახლა უკვე გვიანია. ჩემს უკან უამრავი ხალხი დგას, რომლებიც მხარს მიჭერენ და ჩემი უარი მათი ღალატი იქნება. ამის გაკეთება მე არ შემიძლია, ამიტომაც ბოლომდე ვიბრძოლებ.

ბაატა თოთაძე

## რამაზ გოგლიძე: იმ კაცს გაუმარჯოს, ფიქრით რომ განსჯის

**— ყრილობა 23 ოქტომბრისთვის გადაიდო. ძალიან გაწელილი ხომ არ გეჩვენებათ ეს დრო?**

— აგვისტო, ალბათ, ისედაც უნდა გამოგვერიცხა, რადგან ძალიან ცხელა. მეც ბევრი სამუშაო მაქვს. ამ გადაწყვეტილებას დადებითად შევხვდი. საქართველოს ბეისბოლისტთა ეროვნული ნაკრები ევროპის პირველობაზე უნდა წავიდეს, მეტ ყურადღებას მივაქცევ. ბეისბოლის საქმესაც ხომ ვერ ვუღალატებ. მით უმეტეს, როცა სიდნეის ოლიმპიადაზე მოხვედრის თეორიული შანსი გაგვიჩნდა. თუმცა, ზოგიერთებს ჩვენი წარმატების ეშინიათ, რადგან შემდეგ გარკვეულ დაფინანსებასაც მოვითხოვთ და ფული არ გვაქვსო, იძახიან. როგორც იტყვიან, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ყრილობა, რა თქმა უნდა, ძალიან გადაავადეს. ისევ თავიდან მოგვიწევს ხალხთან შეხვედრა, მაგრამ ყველაფერი უფრო დაიწმინდება, ვნებებიც ჩაცხრება და ამომრჩეველსაც გაუადვილდება სწორი არჩევნის გაკეთება. ერთი ამბავი მაინც მწყინს. აქამდე რატომ არ მოგვარდა ელემენტარული პრობლემები, თუნდაც რეგისტრაციის, დელეგატთა სიისა და მათი არჩევის ოქმების საკითხები. ხალხმა ხომ უნდა იცოდეს, ვინ როდის და როგორ ირჩევს ყრილობის დელეგატს. თუ პრეზიდენტი გავხდები, როგორც შეგპირდით, მომდევნო ყრილობა უფრო მაღალ და დემოკრატიულ დონეზე ჩატარდება.

**— გადავადების ძირითად მიზეზად ეროვნული ნაკრების მწვრთნელის თხოვნა დაასახელეს.**

— ჩემი პროგრამა ჩემს საქმიანობას ასე განსაზღვრავს — დღევანდელი საკეთებელი, ხვალინდელი და პერსპექტიული. ესე იგი, სტრატეგიული და ტაქტიკური. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ყველა ნაკრებმა რაც შეიძლება წარმატებით იასპარეზოს, გამოიძებნოს სტიმულირების ფონდი. სტიმულირება აუცილებელია, მაგრამ ყველას უნდა ახსოვდეს, განსაკუთრებით ნაკრებს, რომ ფული მთავარი არ არის. მთავარია, პატრიოტიზმი, საბრძოლო ჟინი და თავდადება. ასევე მინდა კლუბებსაც ვუსურვო დიდი წარმატებები, უფრო თავგანწირული თამაში და არა ისეთი უსახური, როგორიც ჩვენ ვნახეთ. არავის ვაკრიტიკებ, მაგრამ თუ ალბანურ კლუბთან ასე გვიჭირს, ამ ქვეყნის ნაკრებთან მატჩში რა მოგველის. როგორც ხედავთ, მეკარე შესანიშნავი ჰყავთ, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს შეუძლია კარგად თამაში. მართალია, ჩვენი ნაკრები უფრო ძლიერია, მაგრამ მეტოქეც ანგარიშგასაწევი ძალაა.

არა მგონია, ვოვა გუცაევს ასე კატეგორიულად მოეთხოვა ყრილობის გადატანა. არაფერი ცუდი არ იქნებოდა იმაში, რომ ჩვენ მზად ვყოფილიყავით. აგვერჩია პრეზიდენტი და ის უფრო მეტად დაეხმარებოდა ნაკრებს, მაგრამ ახლა ყრილობის თარიღის გადატანა აუცილებელია, რადგან ეს არ უნდა მომხდარიყო, ვთქვათ, აგვისტოს ბოლოს ან კიდევ სექტემბრის დასაწყისში, როცა გუნდს შესარჩევი თამაშები ეწყება. კარგია, რომ გადავადდა. მეტად შევუწყობთ ხელს გუცაევსაც და სხვასაც. ამას ის ხალხიც დაინახავს, რომლებიც ასე უკიჟინებენ ფედერაციას, მუშაობა გარდაქმენითო. შეიძლება მართლაც გარდაქმნან ფედერაციის მესვეურებმა თავიანთი საქმიანობა და იქ ახლების მისვლა საჭიროც აღარ გახდეს.

**— თქვენს შანსებზე რას გვეტყვით?**

— შუა ქართლში ერთ დელეგატს შევხვდი. ჩვენ ჭიქაც კი ავწიეთ ერთად, მაგრამ პირობა არ მომცა. ჯერ ვიფიქრებო. აი, ასეთ კაცს გაუმარჯოს. მე თქვენ ხმას ვერ მოგცემთ, კიდევ უნდა ვიფიქროო. აი, ასეთ ხალხს მივესალმები. ადრეც გითხარით, რომ ბევრი რეგიონი მოვიარე და თითქმის ყველამ მხარდაჭერა აღმითქვა, მაგრამ ბოლომდე ამაში დარწმუნებული არა ვარ. ეს ადამიანის ბუნებაა, კიდევ განსჯის, კიდევ დაინახავს, ვის უფრო რეალური პროგრამა ექნება, მაგრამ სულ სხვა საქმეა, ვის აქვს პრეზიდენტობის უფლება. მე დიდ პატივს ვცემ ილო დათუნაშვილს, როგორც კარგ ფეხბურთელს, მაგრამ ნუ ეწყინება. როცა მსოფლიოში სახელგანთქმული ფეხბურთელი საშა ჩივაძე უარს ამბობს პრეზიდენტობაზე, ფეხბურთელი დათუნაშვილი...

ფეხბურთი არის ზეპარტიული, ზეკლანური, ეროვნული საქმე. ვინ ვის უჭერს მხარს, მე არ ვიცი. მთავარია ყველა, მთელი ერი, ამ დიდი საქმის გარშემო გაერთიანდეს.

ხვიჩა სანიძიძე



გაგიჩ ქათამაძის ფოტო

## მოსკოვი, განჯა...

მოგეხსენებათ, საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრებმა ახლახან მოსკოვში დასრულებულ მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებში იასპარეზა. ჯგუფში კარგი თამაში (1:0 აშშ-თან, 2:1 პოლონეთთან, 0:0 თურქეთთან) მეოთხედფინალში რუსეთის ნაკრებთან მარცხმა დაჩრდილა. თუმცა, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმა ახალგაზრდულ თამაშებზე გამოსვლა დადებითად შეაფასა და ორიოდ სიტყვით 18-წლამდელთა სამომავლო გეგმებზე და არსებულ პრობლემებზეც გვესაუბრა.

— რა თქმა უნდა, დასანანია, რომ პრინციპული მატჩი წავაგეთ, თანაც წინ ვიყავით და შეხვედრის დასრულებას ბევრიც არაფერი უკლდა. ვთვლი, რომ ეს ისევ და ისევ გამოუცდელობის ბრალია, რაც სათამაშო პრაქტიკის უქონლობითაა გამოწვეული. მიუხედავად ამისა, ბიჭებით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. მათ ქვეჯგუფის თამაშებში საკმაოდ გამართული და ლამაზი ფეხბურთი აჩვენეს და ჩემი მითითებებიც მაქსიმალურად შეასრულეს. წინ ევროპის ჩემპიონატია. ვფიქრობ, იქ წარმატებით შეგვიძლია ასპარეზობა, უბრალოდ, მეტი ყურადღება და თანადგომაა საჭირო. აუცილებელია სრულფასოვანი შეკრებები და ამხანაგური თამაშები. ფედერაციის და ბატონ ვლადიმერ გუცაევის დახმარებით ამ მხრივ პირველი ნაბიჯები გადაიდგა — 12 აგვისტოს ჩვენი გუნდიც ითამაშებს განჯაში აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთან.

მსგავსი ამხანაგური შეხვედრები სასიკეთოდ წაგვადგება. ჯაკობია, გველესიანი, ბურდული, დილმელაშვილი, კორღალიძე, გაგუა — ეს საკმაოდ დიდი ძალაა და იგი სწორი მიმართულებით უნდა წარიმართოს. დიდი იმედი მაქვს, რომ დაგვეხმარებიან და გვერდში დაგვიდგებიან. თუ ასე მოხდა, სერიოზულ წარმატებებზე ფიქრიც შეგვეძლება.

ბაატა ძვანტალიანი

## ღუდუშაური მოლოდინშია. მონასელიძე დინამო 2-ში

მოსკოვის „ტორპედოში" მოთამაშე ქართველმა ლეგიონერებმა გიორგი ღუდუშაურმა და ლაშა მონასელიძემ გუნდში მწვრთნელად უკვე მერამდენედ მიბრუნებულ ვალენტინ ივანოვთან უთანხმოების გამო წამოსვლა არჩიეს. მონასელიძე ამჟამად „დინამო 2"-შია სათამაშო ფორმის შესანარჩუნებლად და დარჩება თუ არა, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ხოლო რაც შეეხება გიორგი ღუდუშაურს, იგი ჯერაც უგუნდოდაა, მართალია, ინდივიდუალურად ვარჯიშობს, მაგრამ... მოგეხსენებათ, ივანოვის მისვლამდე „ტორპედოს" ალექსანდრ ტარხანოვი წვრთნიდა და ქართველებსაც სისტემატურად ძირითადში ათამაშებდა. ივანოვის მისვლის შემდეგ კი არა მარტო ჩვენებურებმა, არამედ ტარხანოვის „ტორპედოს" ძირითადებმაც, ზოგიერთის გამოკლებით, სათადარიგო სკამზე გადაინაცვლეს. როგორც გიორგიმ გაგვიმხილა, ივანოვთან უთანხმოების მიზეზი ქართველობა კი არა, ქართული ფეხბურთის სტილი ყოფილა. ასეა თუ ისე, ღუდუშაური გაურკვეველ მდგომარეობაშია და ახალ გუნდს ეძებს.

გიორგი ვაშაძიძე

## ვაშაკიძეც უცხოეთისკენ ეშურება

ქუთაისის „ტორპედოსა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი ირაკლი ვაშაკიძე თამაშის გაგრძელებას უცხოეთში აპირებს. კლუბმა მას უკვე მისცა განთავისუფლების ფურცელი. ლაპარაკია ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების (იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი) და ბელგია — ჰოლანდიის ვარიანტზე. ფეხბურთელმა უფრო კონკრეტული პასუხისგან ჯერჯერობით თავი შეიკავა, ცუდად მაქვს დაცდილიო. ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება და ირაკლიც, ალბათ, მალე თავის ახალ კლუბს მიაშურებს.

გიორგი ვაშაძიძე

# გამოუშვით ლომები!

„გრასჰოპერმა“ ახალ სეზონში პირველი ოფიციალური გამარჯვება მოიპოვა. 22 ივლისს, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, შვეიცარიელები ლუქსემბურგის „ჟენესს“ ხვდებოდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, „კალიებს“ არ გასჭირვებიათ მატჩის მოგება და საბოლოოდ 6:0 გაანადგურეს სუსტი მეტოქე. მასპინძელთა უპირატესობა მთელი შეხვედრის განმავლობაში აშკარა იყო. ექვსი გოლის გარდა ორი ამდენი კიდევ უნდა გაეტანათ, მაგრამ ლუქსემბურგელები, უფრო რომ არ შერცხვნენ, თავიანთ მეკარეს უნდა უმადლოდნენ. „გრასჰოპერის“ შემადგენლობაში კარგი თამაშით კაბანასი გამოირჩა, რომელმაც ყაველაშვილის პასით მატჩის ულამაზესი გოლი გაიტანა. რაც შეეხება ყაველას, მან თავისი 27-ე დაბადების დღე საგოლე პასის გარდა ერთი შეგდებული ბურთითაც აღნიშნა. 65-ე წუთზე კი ტიკვამ მიშას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. ცოტა ხანში ყაველაშვილი შეცვალეს. თამაშის შემდეგ „კალიების“ თავკაცი როლფ ფრინგერი კმაყოფილებას ვერ მალავდა, მართალია, არც ისე ძლიერი მეტოქე გვყავდა, მაგრამ ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს მისთვის გოლის გატანის არანაირი შანსი არ მიუციაო. მართლაც, „გრასჰოპერს“ იმ დღეს ტრავმების გამო ძირითადი შემადგენლობის ექვსი ფეხბურთელი, მათ შორის, ნემსაძეც აკლდა, თუმცა გიამ ტრავმა უკვე მოიშუშა და ამ დღეებში გუნდთან ერთადაც შეუდგება ვარჯიშს. „კალიებმა“ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური პრაქტიკულად გაინაღდეს, 12 და 26 აგვისტოს ჩემპიონთა ლიგაში ადგილის დასაბევებლად მათ თურქულ „გალათასარაისთან“ მოუწევთ ბრძოლა.

**ვანო ოქროპირიძე**

# ჩუხუა ურალანს ვერ შეეწყო

„რუსთავიდან“ წინა სეზონის ბოლოს წამოსული ჯუბა ჩუხუა სულ ახლახან ელისტის „ურალანში“ იმყოფებოდა თამაშის გასაგრძელებლად, მაგრამ რუსული კლუბის ხელმძღვანელობას პირობებზე ვერ შეუთანხმდა და უკან გამობრუნდა. მოგეხსენებათ, წლეულს რუსეთის პირველ დივიზიონში აღზევებულ ამ რუსულ კლუბში კიდევ ერთი ქართველი — ლევან ქებაძე ბურთაობს. ჯუბა ახლა თბილისშია და ჯერაც წინადადებას ელის. ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება, თუმცა არც ისაა გამორიცხული, ჩუხუა ისევ ელისტას ჩაფრინდეს და თამაში იქ გააგრძელოს.

**გიორგი გაშაძიძე**

# მეტალურგები გეიზერების კუნძულზე

რუსთავის „მეტალურგში“ მორიგი ცვლილებებია. ფაქტობრივად დაშლილი ბოლნისის „სიონიდან“ დაბრუნებულმა ჯაბა წიკლაურმა რუსთავში ხეირიანად ვარჯიშიც ვერ მოასწრო, რომ თამაშის უცხოეთში გაგრძელების საშუალება მიეცა. საქმე ისაა, რომ ისლანდიის უმაღლესი ლიგის წამყვან კლუბს ნახევარმცველისა და თავდამსხმელის აყვანის სურვილი გამოუთქვამს. მავან ქართველ ბიზნესმენს რომელიც ამჟამად რეიკიავიკში ცხოვრობს, ისლანდიელთა დაინტერესება მოუხერხებია და მათთვის „მეტალურგის“ ორი ფეხბურთელი შეუგულებია. ჯაბა წიკლაურთან ერთად რუსთაველთა გუნდს ვალერი ზირაქაძეც დატოვებს. წინასწარი პირობით ისინი ორ თვეს ითამაშებენ ისლანდიაში და თავის გამოჩენის შემთხვევაში სეზონის ბოლომდე გაუგრძელდებათ კონტრაქტი. ლაპარაკია აგრეთვე ამ ფეხბურთელების საბერძნეთის ერთ-ერთ გუნდში გადასვლაზე. თუმცა ზირაქაძეს და წიკლაურს უფრო რეალურად ისლანდიის ვარიანტი მიაჩნიათ და იმედოვნებენ, რომ მალე გაყინულ კუნძულზე მოხვდებიან.

**ბაატა ძვანტალიანი**

# ნიჭი, ძამიკო, ნიჭი...

გოჩა ჯამარაული უდავოდ გამორჩეულია თავისი თაობის ფეხბურთელთა შორის. საერთოდ, გოჩა და მისი თაობა როგორღაც იმ პლეადას გვახსენებენ, მეწყერივით რომ მოვარდნენ ქართულ ფეხბურთში და ქართველი გულშემატკივარი პირველ დიდ სიხარულს აზიარეს. ლაპარაკია 1937 წელს და იმ პერიოდში დაბადებულ დიდ ქართველ ოსტატებზე. მკითხველმა თავად განსაჯოს: ილია დათუნაშვილი, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია — რომელი ქვეყნის რომელი გუნდი დაიწუნებდა ამგვარ თანავარსკვლავედს. ზუსტად ასევე ჯამარაული, ნემსაძე, ყაველაშვილი, ყიზილაშვილი, ლობჟანიძე, დევაძე, გუჯაბიძე, კერძევაძე — ერთად მოვიდნენ დიდ ფეხბურთში და ერთად ჭედავენ ქართული ფეხბურთის ბედს. სხვა საკითხია, ვინ როგორ გაიხსნა ფეხბურთისთვის, ან ვის როგორ გაუმართლა, მაგრამ ჩვენი ფეხბურთის გარდამავალმა პერიოდმა რომ ამ თაობის მხრებზე გადაიარა, უდავო ჭეშმარიტებაა.

ჯამარაული მთელი თავისი პიროვნებით სრულად ასახავს თავისი პლეადის ნაკლსაც და ღირსებასაც. უკეთეს სიმბოლოს ამ თაობისა ვერც მოიფიქრებ კაცი — ნიჭიერი, ტექნიკური, პერსპექტიული, ამბიციური, მაგრამ ამავე დროს არც ისე მონდომებული, არც ისე შრომისმოყვარე, ცოტა ზარმაცი, ცოტათი კონფლიქტურიც და აჰა, 71-იანების ამომწურავი პორტრეტიც სახეზეა.

ჯამარაული და მისი თაობა საბჭოური პირველობის გარდაცვალებას „დინამოს“ დუბლიორების რანგში შეხვდნენ. ამიტომაც მათზე სრული შთაბეჭდილების შექმნა იმ დროისთვის შეუძლებელი იყო. გულშემატკივარმა ეს ბიჭები პირველად თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს კლუბების ნაკრების მატჩში გაიცნო (თამაში ნაკრებმა 3:0 მოიგო). მაშინ განსაკუთრებული ხიბლი მოედანზე გუჯაბიძის გონიერ გარჯას ჰქონდა, მაგრამ ურიგოდ არც სხვებს გამოსვლიათ თამაში და მაღალოსტატური ფეხბურთით განებივრებულმა გულშემატკივარმაც თავი დაიარხეინა — სახარეს კოჭებში ეტყობოდა, ჩვენი ფეხბურთის მომავალი საიმედო ხელთ იყო. მაგრამ გავიდა დრო და ამ თაობის მონაგარში რაიმე ხელშესახები, განსაკუთრებული ჯერჯერობით არ ჩანს, თუმცა მათ, ჯამარაულის დარად, თავიანთი სიტყვა ბოლომდე არ უთქვამთ. არადა, ველოდით კი — თუ ვინმეს უნდა გაებრწყინა, თუკი ვინმეს მონაცემებს უნდა გაემართლებინა აქამდე, ეს, პირველ რიგში, გოჩა ჯამარაული გახლდათ.

თავიდან, კარიერის დასაწყისში, ჯამარა სუსტი, თხელი, ბავშვური აგებულების ფეხბურთელის შთაბეჭდილებას ტოვებდა (ეს არც არის გასაკვირი, ჩვიდმეტი წელი ფეხბურთშიც ბავშვური ასაკია). მაგრამ დაკვირვებული თვალი მაშინაც შეამჩნევდა ძალუმ, ასაკზე მეტად განვითარებულ კუნთებს მის ფეხებზე. ცხადი იყო, წლების შემატებასთან ერთად გოჩა მთლიანად მომძლავრდებოდა და მის აღნაგობას სისუსტისა აღარაფერი შეეტყობოდა. აკი ასეც მოხდა. დაახლოებით ოცი წლის ასაკში ჯამარაული საბოლოოდ დასრულდა ფიზიკურად. გვახსოვს მეტად სწრაფად შეცვლილი ფეხბურთელის შემხედვარე ერთ-ერთი გულშემატკივრის რეაქცია — ჯამარას შეხედეთ, როგორ დაკაცებულაო — უკვე მაშინ შეიძლებოდა გოჩასთვის თავისი პლეადის ლიდერის როლის მიკუთვნება, მით უმეტეს, საამისოდ ყველაფერი გააჩნდა — ავტორიტეტი, მწვრთნელთა კეთილგანწყობა, აღარაფერს ვამბობთ წმინდა საფეხბურთო მონაცემებზე და თუ ჯამარაულს დღემდე „გაუხსნელ“ ფეხბურთელს ვუწოდებთ, აქ იღბალი და ნიჭი არაფერ შუაშია, აქ, დამნაშავე ქართველი ვარსკვლავების მარადი ჭირი — მძიმე ხასიათი ანუ ვარსკვლავის ავადმყოფობაა.

ჯამარაულის სათამაშო სტილი ფეხბურთის ნებისმიერი მოყვარულისთვის სასიამოვნო საცქერია. მისი პასი გამოზომილია, ტექნიკა დახვეწილი, ვერც სისწრაფეს დავუწუნებთ გოჩას — მას დინამიური ფეხბურთის თამაშიც ხელეწიფება და მოძრაობაშიც შეუძლია ამა თუ იმ ილეთის სრულყოფილად შესრულება. ფეხებით მძლავრად დგას მიწდორზე და ეს მეტოქის წინააღმდეგ ორთაბრძოლებშიც ეხმარება. ერთი სიტყვით, იგი ბრწყინვალე ქართველი შემსრულებლების მემკვიდრედ შეიძლება ვაღიაროთ, თუმცა უნდა აღინიშნოს ჯამარასეული სათამაშო ხელწერის ერთი ნაკლიც. ეს არის ბურთის ზედმეტი ტარება, ინდივიდუალიზმით გატაცება, მოედნის განდაგან სერვა. მსგავსი რამ არაერთხელ უსაყვედურიათ წარსული წლების გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელებისთვისაც. თანამედროვე, ზესწრაფი ფეხბურთი ყველაზე ნაკლებად სწორედ შეტევის განდაგან განვითარებას ეგუება და ასეთი მანერა არა მარტო გუნდის საბოლოო შედეგზე მოქმედებს უარყოფითად, მატჩის სანახაობრივ მხარესაც აფუჭებს. ჯამარაულს შემტევი ნახევარმცველი ჰქვია და შეტევა მით უფრო ეფექტურია, რაც ნაკლებ დროში ხორციელდება ის.

თავისი საფეხბურთო ნატურით გოჩა ჯამარაულს ყველაზე მეტად გამთამაშებლის პოზიცია შეეფერება. ამას წარსულიც ადასტურებს. აბა გავიხსენოთ, რამდენი მატჩის ბედი გადაუწყვეტია ჯამარაულის დროულ პასს, ანაც მოულოდნელ გაგრძელებას. ქართველებს ამ ფუნქციის ფეხბურთელებით ვერავინ გაგვაკვირვებს. ბასა, მანუჩარი, ყიფიანი — ეს სახელები თავისთავად მეტყველებენ, თუ რა დიდი ტრადიციები გაგვაჩნია ამ პოზიციაზე. გამთამაშებელს განა მარტო მონაცემები და სისწრაფე უნდა ჰქონდეს — იგი უნდა აზროვნებდეს მოედანზე. სწორედ მისი ტაქტიკური, ტექნიკური, პოზიციური განსწავლულობა განაპირობებს მატჩის შედეგს. მოაზროვნე ფეხბურთელი უმეტესწილად თანაგუნდელების თამაშსაც განსაზღვრავს, მისი როლი და მნიშვნელობა განუზომელია ნებისმიერი რანგის ჩემპიონატის ნებისმიერი გუნდისთვის. მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ღირსებები არაფერია, თუ გუნდის დირიჟორს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება არ გააჩნია — იგი ლიდერი უნდა იყოს. რა სჯობს, როცა ფეხბურთელი აკეთებს ლამაზ გადაცემას, აგვირგვინებს შეტევას, აქვს სწორი, დაყენებული დარტყმა, ძლიერია პოზიციურად — მაგრამ ყველა ამ ღირსებაზე მაღლა მაინც ლიდერის, წინამძღოლის ნიჭი დგას, ვინაიდან სწორედ ამ ყაიდის ფეხბურთელებს ძალუძთ, მარტოკებმა გადაწყვიტონ რა გინდა რა მატჩის ბედი. იყო გუნდის ლიდერი — ეს პატივი მხოლოდ თითებზე ჩამოსავლელი ფეხბურთელების ხვედრია.



[illegible] ფოტო

გოჩა ჯამარაულისთვის ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება ძალიან ადრეა

ჯამარაულს ლიდერის თვისება უდავოდ გააჩნია. ალბათ, ყველას ახსოვს ის სეზონი, როცა „დინამო“ ფეხბურთელთა წამყვანმა ბირთვმა დატოვა და მთელმა საჩემპიონო წელიწადმა ჯამარას მხრებზე გადაიარა. იმ სეზონში გოჩა მართლაც სული და გული იყო „დინამოსი“. ამ ფეხბურთელის კარიერაში ერთ კანონზომიერებასაც ვაკვირდებით — როდესაც მას თამაში მისდის, მთლიანად გუნდიც შეუდარებელია და შედეგიც ქართველი გულშემატკივრისთვის სასიამოვნოა. ვაგლახ, მსგავი თამაშები ორიოდ-სამი თუ გაგახსენდება კაცს, როცა ჯამარაული უდავოდ მოედნის ბატონ-პატრონი იყო, მტკიცედ ეპყრა ხელთ „ჯადოსნური კვერთხი“ და თანაგუნდელები გამარჯვებისკენ მიჰყავდა. ბევრს არ ჩამოვყვებით, გოჩას ნიჭის დასტურად საქართველო — ბულგარეთის ნაკრებების მატჩსა და „დინამო“ — „ტორპედო“ მოსკოვის ორივე თამაშს მოვიყვანთ.

ბულგარეთის ნაკრებთან შეხვედრა ერთ-ერთი საუკეთესოა ეროვნული ნაკრების მატიანეში. ამ შთაბეჭდილებას ისიც გვიძლიერებს, რომ სტოიჩკოვი და კომპანია მაშინ ჯერაც ეკუთვნოდნენ ევროპულ ელიტას. იმ მატჩში მთელი ნაკრები საუცხოოდ თამაშობდა — იყო ქინქლაძის, შელიას, ღუდუშაურის, შოთას, მთელი გუნდის მშვენიერი გარჯა, მაგრამ მათ ფონზეც გამოირჩეოდა ჯამარაულის უზადო მოქმედება.

მოსკოვის „ტორპედოსთან“ მატჩები კი სულაც გოჩას ბენეფისად უნდა მივიჩნიოთ. მან ხომ თითქმის მარტომ გადაწყვიტა „დინამოს“ შემდეგ ეტაპზე გასვლა. ეს მაგალითები ჯამარაულის, როგორც ფეხბურთელის, შესაძლებლობებს ყველაზე ნათლად გვიჩვენებს. მას ძალუძს გუნდის ლიდერობა, მას ძლუძს მაღალი დონის ფეხბურთის თამაში.

ალანიური პერიოდი ჯამარას კარიერაში ერთ-ერთი უიღბლო იყო. სხვას ვინ ჩივის, ძირითადშიც იშვიათად აყენებდა გაზაევი ქართველ ფეხბურთელს და ეს მაშინ, როცა ოსური კლუბის მწვრთნელის სიმპათიები ჩვენი საფეხბურთო სკოლისადმი საქვეყნოდ ცნობილია. თავი კვლავ მძიმე ხასიათმა იჩინა, მით უმეტეს, არც გაზაევია უკონფლიქტო და მამა აბრამის ბატკანი. იგი ფეხბურთელობის დროსაც გამოირჩეოდა ტემპერამენტით. მართალი გითხრათ, გულსატკენი კი იყო „ალანიაში“ გოჩას მოღვაწეობის ასეთი დასასრული — თბილისის „დინამოდან“ წასული ფეხბურთელების უმეტესობა ხომ უპრობლემოდ ერგებოდა ოსური კლუბის მექანიზმს და რამდენიმე მათგანს გაზაევმა ახალი, გაცილებით უკეთესი ამპლუაც კი გამოუძებნა. თუნდაც კობიაშვილის მაგალითი რად ღირს.

„ალანიადან“ ჯამარაული „ტრაბზონსპორში“ გადაბარგდა. ამ თურქულ კლუბში, ძმები არველაძეების წყალობით ქართველებს შეუვალი ავტორიტეტი გაგვაჩნია. სამწუხაროდ, ვერც აქ გამოავლინა ჯამარამ თავისი სრული პოტენციალი. აქაც კონფლიქტი, აქაც სათადარიგო სკამი... მაშ, რაშია საქმე?! ნუთუ მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატია ის ადგილი, სადაც გოჩას თავისი ძალების გამოვლენა შეუძლია?

ეჭვი ნურავის შეეპარება გოჩა ჯამარაულის საფეხბურთო მონაცემებში. ყოველ შემთხვევაში, არც ერთ ამჟამად მოქმედ ქართველ ფეხბურთელს იგი არ ჩამორჩება — უცხოეთში თამაში მასაც შეუძლია, ოღონდ საქმისადმი უფრო პროფესიონალური, სწორი მიდგომაა საჭირო. დღეს მხოლოდ ტექნიკით და პასის კულტურით შორს ვერავინ წავა, მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა თანამედროვე ფეხბურთის საწყისი. ალბათ, ამიტომაც აღარ წყალობდნენ ჯამარას არც ოსები, არც თურქები. ჩვენში კი... ჩვენში სირბილის და მოძრაობის გარეშეც შეიძლება გამარჯვება. რაზეა საუბარი, რა თანამედროვე ფეხბურთზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა კაცი (გოჩა გვყავს მხედველობაში) ლამის დაგვიბერდა და აგერ ახლა, რუსეთის ნაკრებთან მატჩში ვიხილეთ მისი პირველი „პადკატი“ — ეს ილეთი ხომ თანამედროვე ფეხბურთში აქტიურობის, ბრძოლისუნარიანობის ერთგვარ სიმბოლოდაც კი იქცა. თვითონ განსაჯეთ, ვიტალი დარასელია — უმცროსის თქმით, თავდამსხმელი, რომელიც უკრაინული ჩემპიონატის ერთ მატჩში ცხრა „პადკატს“ მაინც არ გააკეთებს, ზარმაცად და ბრძოლის უუნაროდ ითვლება. აღარაფერს ვამბობთ მცველებზე.

ფიზიკური მომზადების სისუსტე აღარავის გვიკვირს საქართველოში, მაგრამ აფსუსია, ნიჭიერმა კაცმა ამ ნაკლის გამო დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშოს. ნიჭი უნდა დაგყვეს კაცს, მას გარჯით ვერ მოიპოვებ, აი, ფიზიკური გამძლეობა კი ის კომპონენტია, რომელსაც დროთა განმავლობაში შრომა მოგიტანს. ვინც შრომა არ დაიზარა, ვინც თავი არ დაზოგა (თუმცა კი, ნაკლებად ნიჭიერი ფეხბურთელი იყო) შედეგსაც მიაღწია, უშრომელად კი არც ერთ პერსპექტიულ ფეხბურთელს არ მიუღწევია დიდი სიმაღლეებისთვის.

ამ და სხვა გულსატკენი მიზეზების გამო დღეს გოჩა ჯამარაული უგუნდოდაა. სათამაშო პრაქტიკის გარეშე ყოფნა, თანაც ოცდაშვიდი წლის ასაკში, როცა ფეხბურთელს ოსტატობის პიკი უნდა დაუდგეს, ზედმეტი რომ არ ვთქვათ, ტრაგედიაა. ტრაგედიაა თვითონ ფეხბურთელისთვის, ტრაგედიაა მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის. რახან ისე ხდება, რომ საკლუბო დონეზე ჯამარამ ჯერაც ვერ გამოავლინა სრული პოტენციალი, მან ნაკრებში უნდა შეძლოს თამაში. ამაში ნაკრებმაც უნდა შეუწყოს ხელი, შანსი მისცეს და ყველანაირად დაეხმაროს ჯამარაულს, როგორც ფეხბურთელს.

ბაჯო — დელ პიეროსი არ იყოს, ჩვენც ორი კანდიდატი გვყავს ქვეყნის პირველ ნაკრებში დისპეჩერის ადგილზე. აქამდე ამ პრობლემას მწვრთნელები იმით აგვარებდნენ, რომ ჯამარაულს მარჯვნივ ათამაშებდნენ, დირიჟორის ფუნქციას კი ქინქლაძე ასრულებდა. ის, რისი თქმაც ახლა გვსურს, ჩვენი სუბიექტური აზრია და არც არავის ვახვევთ თავზე, უბრალოდ მიგვაჩნია, რომ ნაკრებისთვის უმჯობესი იქნება, გამთამაშებლად ჯამარაული გაისარჯოს, ხოლო ქინქლაძისდარ ფეხბურთელს რაიმე ჩარჩოს გარეშეც შეუძლია გუნდისთვის სარგებლობის მოტანა. იგი ხომ წარმატებით თამაშობდა „სიტიში“ მარცხენა ნახევარმცველად. შეუძლია თავდამსხმელების უკან თამაშიც და საერთოდ გიო არსად დაიკარგება — იგი ბუნებით „თავისუფალი მხატვარია“ და შეტევის ხაზის რომელ უბანზე მოუწევს გარჯა, განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. ჯამარაულს კი, თუკი რამე უკეთებია ღირსშესანიშნავი, ყოველთვის კონსტრუქტორის ადგილზე.

ზემოთ კი ვახსენეთ, ჯამარა უგუნდოდააო, მაგრამ გოჩას თავის კლუბში ხილვის მსურველიც ბევრია. არავინ იცის, სად გააგრძელებს ჯამარაული კარიერას — ბრიტანეთში, ნიდერლანდში თუ სხვაგან, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ფეხბურთელმა უკვე გააკეთა სწორი დასკვნები. ნიჭს მოფრთხილება უნდა, გამოყენება და თუ მას შრომა-გარჯის უნარიც დაემატა, შედეგი არ დააყოვნებს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი კარზეა მომდგარი და ჯამარასაც გვარიანი გამოცდა ელის. ხალხს მობეზრდა ამდენი ლოდინი. შინაური საკლუბო ფეხბურთი ხომ სულს ღაფავს, ახლა ნაკრებილა დაგვრჩა იმედად და სწორედ გოჩამ და მისმა თანაგუნდელებმა უნდა შექმნან ქვეყნის პირველი გუნდის აწმყო, ისევე, როგორც თავიანთი მომავალი.

**კონსტანტინე გოგიაშვილი**

# პოლონელებსაც ჰქონიათ მოთმინების ფიალა

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და სოციალისტურ ბანაკში შემავალმა ქვეყნებმა ცხოვრების დასავლური სტილით გაგრძელება ირჩიეს, ძირითადად მხოლოდ ორი საფეხბურთო ნაკრების დასახელება შეიძლება, რომლებზეც ამ ძირფესვიანმა ცვლილებებმა უდიდესი გავლენა იქონია და მათ დღემდე ვერაფრით მოახერხეს ძველი დიდების დაბრუნება.

ეს ორი დაბეჩავებული რუსეთისა და პოლონეთის ეროვნული გუნდია, რადგან თუ თვალს გადავავლებთ ამ ბოლო ხანებში იუგოსლავიის, ხორვატიის, რუმინეთის, ბულგარეთისა და უკრაინის წარმატებებს და მათ მიერ მიღწეულ შედეგებს ამ ორი უიღბლოს ასპარეზობას შევადარებთ, ნათელი გახდება, თუ რა ღრმა კრიზისს განიცდის რუსული და პოლონური ფეხბურთი. თუკი რუსებმა ამ დღეებში ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი აირჩიეს და საერთოდ, ფეხბურთში კარდინალური რეფორმების გატარება ამოუჩრიათ გულში, ამას პოლონელებზე ნამდვილად ვერ ვიტყვით. ის კი არა, ამ ქვეყნის ფეხბურთი იმდენად სავალალო მდგომარეობაშია, რომ ადვილი შესაძლებელია, პოლონეთის ეროვნული ნაკრები თუ კლუბები საერთაშორისო შეჯიბრებებიდან საერთოდ მოკვეთონ.

მაინც რა მოხდა ასეთი, საბრალო პოლონელებმა მსოფლიოს ფეხბურთის მამების რისხვა რით დაიმსახურესო — იკითხავს დაინტერესებული მკითხველი. არა, ისეთი არც არაფერი მომხდარა. უბრალოდ, ეტყობა, ამ ქვეყნის სპორტის მესვეურთა მოთმინებასაც აქვს საზღვარი. ველარ აიტანა ამ ხალხმა ეროვნული გუნდის გაუთავებლად სუსტი თამაში და პოლონეთის საფეხბურთო სტრუქტურების, უფრო ზუსტად კი მისი ზედა ეშელონების გარკვეულწილად შეცვლა სცადა.

საქმე კი ისაა, რომ პოლონეთის სპორტის მინისტრი, იასეკ დებსკი მაისში ფეხბურთის ფედერაციის (PZPN) ლიდერებს მიდგა და მათ დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს.

პატივცემული პირის განრისხების მიზეზი მეტად უბრალო გახლდათ. ფედერაციაში ყოვლად არაკომპეტენტური, არაპროფესიონალი ხალხი მუშაობს და მათ სასწრაფოდ სამსახური უნდა დატოვონო — აცხადებდა დებსკი, რომელსაც დასტურად პოლონეთში 1989 წელს კომუნიზმის დამხობის შემდეგ დღემდე ეროვნული გუნდის ერთიმეორეზე უფერული გამოსვლები მოჰყავდა.

პოლონურ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენები ფიფას, რა თქმა უნდა, თვალთახედვიდან არ გამოპარვია. იოზეპ ბლატერი და კომპანია ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე აფრთხილებდა ამ ქვეყნის ხელმძღვანელებს, შექმნილ ვითარებაში სასწრაფოდ გაერკვიეთ და ფეხბურთის ფედერაციას ნორმალურად მუშაობის საშუალება მიეცით, თორემ პოლონურ გუნდებს ჩვენი ეგიდით გამართული ნებისმიერი თასის გათამაშებაში მონაწილეობას ავუკრძალავთო.

კარგად მოგეხსენებათ, ფიფა თავისი წევრ ქვეყნებისგან კატეგორიულად მოითხოვს, რომ ფეხბურთის ფედერაციასა და მათ თავკაცებს სრული დამოუკიდებლობა მიეცეთ, ანუ ამათ საქმიანობაში სახელმწიფოს წარმომადგენლები უხეშად არ ჩაერიონ.

გუშინწინ ფიფას დელეგაცია პოლონეთს ესტუმრა, რომლის მიზანიც უკანასკნელი ორი თვის მანძილზე იქ შექმნილ ურთულეს სიტუაციაში გაერკვევა და ყოველივეს ქვეყნის ეროვნული ნაკრებისა და გუნდების სასიკეთოდ გადაწყვიტა გახლდათ.

მაგრამ როგორც აღმოჩნდა, საქმე იმაზე გაცილებით სერიოზული ყოფილა, ვიდრე ეს პოლონეთში წარმოედგინათ. უპირველესი საფეხბურთო ორგანიზაციიდან მოგზავნილი პირები ბევრს ეცადნენ, პოლონეთის ფეხბურთის ფედერაცია და სპორტის სამინისტრო ერთმანეთთან შეეთანხმებინათ და მოჩხუბარი მხარეები როგორმე შეერიგებინათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

— ფიფას დელეგაციამ ყველაფერი გააკეთა, რაც კი მის კომპეტენციაში შედიოდა, მაგრამ ამან არანაირი შედეგი არ გამოიღო. ორივე მხარე ჯიუტად იცავს თავის პოზიციას და არაფრის დათმობა არ სურს. სამი დღე ისე გავიდა, რომ კრიზისის გადაჭრისკენ ერთი ნაბიჯიც ვერ გადავდგით.

ამიტომ, იძულებული ვართ, ფიფას დადგენილების მიხედვით ვიმოქმედოთ ად პოლონელებს ერთგვარი ულტიმატუმი წარვუდგინოთ. თუკი ისინი შექმნილ ვითარებაში 1998 წლის 7 აგვისტომდე ვერ გაერკვევიან, მათ მიმართ უმკაცრეს ზომებს განვახორციელებთ და პოლონურ გუნდებს საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლის უფლებას ჩამოვართმევთ — ასეთი გახლდათ ფიფას მიერ სკანდალური სიტუაციის შესასწავლად პოლონეთში მივლენილი ერთ-ერთი დელეგატის განცხადება.

გუშინ ფიფას სანქციით შეშინებული პოლონეთის სპორტის მინისტრი მიხვდა, რომ უნდა დაეთმო:

— ვიცი, ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში ჩვენი ჩარევა ფიფას კოდექსის უხეში დარღვევაა, მაგრამ მერწმუნეთ, მათ საქმეები მთლად აწყობილი ნამდვილად არ აქვთ. უფრო მეტიც, სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ფედერაციის ხელმძღვანელები ფეხბურთის განვითარებისათვის მათთვის გამოყოფილ თანხებს გაურკვეველი მიზნებისათვის ფლანგავდნენ და არც საკუთარი ორგანიზაციის საქმიანობა ადარდებდათ დიდად. ასე რომ, გთხოვთ, უკანასკნელი შანსი მოგვცეთ. სულ ორ დღეში ფედერაციაში არსებულ ყველა დოკუმენტს შევამოწმებთ და თუ ყველაფერი წესრიგში იქნა, საკუთარ შეცდომას ვაღიარებთ — სთხოვა დებსკიმ ფიფას დელეგაციას, მაგრამ ეს უკანასკნელნი შეუვალნი იყვნენ.

— ფიფა და უეფა მათი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციას უმკაცრეს სანქციას დააკისრებს და ამ ქვეყნის გუნდებს საერთაშორისო სარბიელიდან გაურკვეველი პერიოდით მოჰკვეთს. ჩვენი ეგიდით გამართულ ტურნირებზე მონაწილეობის უფლება არ ექნებათ არც ეროვნულ ნაკრებს და არც ცალკეულ კლუბებს — ასეთი გახლდათ ფიფას შტაბ-ბინიდან მიღებული პასუხი.

**ირაკლი ხმელიძე**



ზაფხულია, ფეხბურთელთა დასვენების დრო. მითუმეტეს ახლა, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატის მღელვარებამ უკვე გადაიარა. ჩილეს ნაკრებისა და მილანის „ინტერის" თავდამსხმელი ივან სამორანოსაც სატრფოსთან, ტოპ მოდელ დანიელა კამპოსთან ხელი ჩაუქნევია და სანტიაგოში დევისის თასის საჩოგბურთო ორთაბრძოლებით იქცევს თავს.

**ესპანეთის** ჩემპიონატის ბოლო გამარჯვებულმა და თასის მფლობელმა „ბარსელონამ" თავისი მეკარე კარლოს ბუსკეტსი თავისუფალ ტრანსფერზე დააყენა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ 31 წლის ბუსკეტსმა, რომელიც გუნდში 1988 წლიდან ირიცხება, დანარჩენი ორი გოლკიპერის — პორტუგალიელი ვიტორ ბაიას და ჰოლანდიელი რუუდ ჰესპის კონკურენციას ვერ გაუძლო. „ჩვენ ვუთხარით ბუსკეტს, რომ მან ახალი გუნდი უნდა მოძებნოს. მართალია, იგი დიდებული მეკარეა, მაგრამ უკვე 31 წლისაა და ძველებურად ველარ ირჯება" — განაცხადა კატალონიური კლუბის პრეზიდენტმა, ხოსეპ ლუის ნუნიესმა.

**საფრანგეთის** მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ იმ 22 ფეხბურთელს, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ქვეყნის ნაკრების ღირსებას იცავდნენ და უძლიერესნიც გახდნენ, საპატიო ლეგიონის რაინდის წოდება მიანიჭოს. ფეხბურთელთა გარდა ეს ჯილდო, ბუნებრივია, საფრანგეთის ნაკრების აწ უკვე გადამდგარმა თავკაცმა ემე ჟაკემაც დაიმსახურა. ქვეყნის პრეზიდენტ ჟაკ შირაკის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ დაჯილდოების ცერემონიალი უახლოეს დღეებში გაიმართება ელისეს სასახლეში საგანგებო მიღებაზე, სადაც ნაკრების წევრები და მათი თავკაცი საპატიო სტუმრებად იქნებიან მიწვეულნი.

**პერუს** ნაკრების ნახევარმცველი, პაბლო ზაგარა ესპანურ „სალამანკას" დატოვებს და თავის ყოფილ კლუბ „სპორტინგ კრისტალში" დაბრუნდება, განაცხადა ესპანური კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. 25 წლის ფეხბურთელი ორი სეზონის განმავლობაში იცავდა „სალამანკას" ღირსებას და გუნდის წამყვან მოთამაშედაც ითვლებოდა. თუმცა, ბოლო სეზონის მიწურულს მან თანდათან უკლო, ძირითადშიც იშვიათად ხვდებოდა და 11 თამაშში მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ფეხბურთელი, ფრანგი ვარსკვლავი ერიკ კანტონა, რომელმაც ერთი წლის წინ დაანება თამაშს თავი და ახლა კინემატოგრაფში ცდის ძალას, პლაჟის ფეხბურთის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს. ეს შეჯიბრი უკვე მესამედ ტარდება. ამჯერად მან იტალიის, ესპანეთის, იუგოსლავიისა და საფრანგეთის ნაკრებებს მოუყარა თავი. სწორედ ამ უკანასკნელის ღირსებას დაიცავს კანტონა. ერიკმა, რომელსაც შეუპოვარ ფეხბურთელად იცნობენ, ერთ-ერთი მექსიკური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა: „რაღა თქმა უნდა, თამაში ძლიერ მსიამოვნებს, მაგრამ განსაკუთრებით კმაყოფილი მოგების შემდეგ ვარ ხოლმე. ყოველ თამაში გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლო, ადამიანს ეს მანამ შეუძლია, სანამ ცოცხლობს. ეს იყო და იქნება ჩემი ცხოვრების მთავარი პრინციპი".

**საფრანგეთის** ნაკრების ოთხი წამყვანი ფეხბურთელი — მარსელ დესაი, დიდიე დეშამპი, ალან ბოგოსიანი და კრისტოფ დიუგარი მეტად კურიოზულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ კურორტ სენ ტროპეზში არდადეგებზე მყოფმა ფეხბურთელებმა სათევზაოდ გადაწყვიტეს წასვლა. ამისთვის მათ პატარა ნავი დაიქირავეს თავისი მესაჭით, მაგრამ არ დასცალდათ, შუა თევზაობისას ნავი გადაბრუნდა. შემდგომში ნავის მფლობელმა განაცხადა, თვალებში მზემ შემომანათა, საჭე ვერ დავიმორჩილე და ამიტომაც ამოვტრიალდითო. საბედნიეროდ, არც ერთ მათგანს არაფერი დაშავებია, რაც ადგილობრივი პოლიციის შეფმაც აღნიშნა: „განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ასეთი ინციდენტები აქ არცთუ იშვიათია. უბრალოდ, ამ შემთხვევაში ნავში მყოფთა ვინაობამ ითამაშა დიდი როლი და ეს ამბავიც ამიტომ გახმაურდა".

## ფეხბურთის რუკასთან



**შვედეთის** ნაკრების ნახევარმცველი, იესპერ ბლომკვისტი ამიერიდან „მანჩესტერ იუნაიტედში" იასპარეზებს. თავის ახალ კლუბთან მან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, სატრანსფერო თანხა კი 4,4 მილიონი გირვანქაა (7,2 მილიონი დოლარი). სავარაუდოდ, ბლომკვისტი რაიან გიგზს შეცვლის მარცხენა ფრთაზე, ეს უკანასკნელი კი თავისუფალი თავდამსხმელის ფუნქციებს შეასრულებს. ადრე „გიოტებორგში" და „მილანში" მოთამაშე ბლომკვისტმა განაცხადა, რომ აკლიმატიზაციის პრობლემა არ აწუხებს: „იტალიაში ჩასვლისას მივხვდი, რომ იქაური ფეხბურთის სტილი მკვეთრად განსხვავდება შვედურისგან. ასეა ახლაც, მაგრამ მე უკვე მაქვს კლიმატურ ცვლილებებთან შეგუების გამოცდილება და ამიტომაც ვფიქრობ, ინგლისში თამაში არ გამიჭირდება". ამავდროულად, „მანჩესტერ იუნაიტედის" ექიმის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთელს ფეხის ტრავმა აწუხებს და პრემიერლიგის რამდენიმე საწყის შეხვედრას და ევროტურნირების პირველ ორ მატჩს გამოტოვებს, რათა ტრავმა არ გაუმწვავდეს და მთლიანად სეზონის გამოტოვება არ მოუხდეს.

**ესპანურმა** „სელტამ" დაასრულა მოლაპარაკება ფრანგ ფეხბურთელთან კლოდ მაკელელესთან. მარსელის „ოლიმპიკი" „სელტასგან" 400მილიონ პესეტას ანუ 2,6 მილიონ დოლარს მიიღებს. 25 წლის მაკელელე ესპანეთის პირველი დივიზიონის კლუბში ოთხ წელიწადს გაატარებს.

**ფიფას** პრეზიდენტ, იოზეფ ბლატერის განცხადებით, ქალების მესამე მსოფლიოს ჩემპიონატი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება და 1999 წლის ივნისში დაიწყება. ტურნირში 16 გუნდი იასპარეზებს, რომლებსაც შვიდი ქალაქი უმასპინძლებს. „დღესდღეობით მსოფლიოში 40 მილიონი გოგონა და ქალი თამაშობს ფეხბურთს, ხოლო 2000 წლისთვის მათი რიცხვი 50 მილიონამდე გაიზრდება. მათი თამაში ძალიან ლამაზი და ელეგანტურია და მალე კაცებისას გაუტოლდება. ფეხბურთის მომავალი ქალებს ეკუთვნით" განაცხადა ბლატერმა. ფიფას ერთ-ერთი წარმომადგენლის, ალან როტენბერგის თქმით, გახსნის მატჩი ნიუ ჯერსიში, „ჯაიანთსის" სტადიონზე გაიმართება, ფინალი კი პასადენას „როუზ ბოულზე". შეგახსენებთ, რომ ქალების პირველ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩინეთში 1991 წელს ამერიკელებმა იმარჯვეს, მათ ფინალში ნორვეგიის ნაკრები დაამარცხეს. ოთხი წლის შემდეგ ნორვეგიელებმა შური იძიეს, ნახევარფინალში აშშ-ს მოუგეს, ხოლო ფინალში გერმანიის ქალთა ნაკრებს. მომავალ მსოფლიოს პირველობაზე მასპინძლები საკვალიფიკაციო ციკლის გარეშე, ავტომატურად მოხვდებიან ფინალურ ტურნირში. რაც შეეხება ნორვეგიელებს, მათ შესარჩევ ტურნირში მოუწევთ ასპარეზობა.

**პარაგვაის** ნაკრების მეკარე, ხოსე ლუის ჩილავერტი, რომელმაც საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან ძლიერად ითამაშა, აღელვებული ყოფილა. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ შარშან მის კლუბს, არგენტინულ „ველეს სარსფილდს" „ბოკა ხუნიორსმა" წინადადებით მიმართა მისი გადაბირების შესახებ და თან მზად იყო, 3 მილიონი დოლარი გაეღო, რაზეც უარი მიიღო. ახლაც იგივე განმეორდა. ამჯერად ჩილავერტის შეძენის სურვილი ინგლისურმა „ლივერპულმა" გამოთქვა და „ბოკა ხუნიორსის" მსგავსად, „ველესს" 3 მილიონი შესთავაზა, კლუბის პრეზიდენტმა რაულ გამესმა კი 5 მილიონი მოითხოვა. უკმაყოფილო ჩილავერტის შეძენა „ლივერპულის" გარდა მარსელის „ოლიმპიკს", „პარი სენ ჟერმენსა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" სურთ. მისი მომავალი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**ბრაზილიის** ნაკრებმა რამდენიმე დღის წინ თხოვნით მიმართა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ერთ-ერთ მასპინძელ სამხრეთ კორეის ნაკრებს ამხანაგური შეხვედრის გამართვის თაობაზე, რომელიც წესით, ერთი თვის შემდეგ უნდა ჩატარებულიყო. ახლახან კი სამხრეთ კორეის ფეხბურთის ფედერაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბრაზილიელებს შიდა პრობლემის გამო თარიღის გადატანა სურთ. აქედან გამომდინარე, ეს ამხანაგური თამაში სავარაუდოდ ოქტომბერში გაიმართება.

**ესპანეთის** ნაკრებისა და ბილბაოს „ატლეტიკის" თავდამსხმელის იულენ გეროს უმცროსი ძმა ხოსე ფელიქს გერერო სანტანდერის „რასინგიდან" „რეალ სოსიედადში" გადავიდა და თავის ახალ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**გერმანიის** ვიცე-ჩემპიონის, მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელობის თქმით, მას პრემიერლიგურმა „ნიუკასლ იუნაიტედმა" მიმართა გუნდისა და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველ დიტმარ ჰამანის თაობაზე. თუმცა „ბაიერნის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მარკუს ჰოერვიკმა განაცხადა: „ჩვენ არ ვიცით, რამდენად სერიოზულია ინგლისელთა წინადადება". გარდა ბრიტანული კლუბისა, ჰამანით სხვა ევროპული გუნდები დაინტერესებულან, რომელთა შორის ესპანურები გამოირჩევიან. ჰამანის გადაბირება სურთ „სევილიასა" და მადრიდის „რეალს".

# საჩუქარი უეფასგან

ახალი სეზონის დამდეგს იმ ფეხბურთელებმა, რომლებმაც უეფას ეგიდით გამართულ შეხვედრებში ორი ყვითელი ბარათი მიიღეს და ახალ გათამაშებაში საწყისი მატჩების გამოტოვება უწევდათ, უეფასგან მართლაც მოულოდნელი და იმავდროულად, საუცხოო საჩუქარი მიიღეს.

საქმე ისაა, რომ უეფას აღმასრულებელი კომიტეტის ახალი დადგენილების თანახმად, მოთამაშეებს, რომელთაც ორ სხვადასხვა თამაშში ყვითელი ბარათები დაიმსახურეს, მაგრამ წინა სეზონში სასჯელის მოხდა ვერ მოახერხეს (მაგალითად, იმის გამო, რომ ფეხბურთელის კლუბი იმ შეხვედრის შემდეგ გამოეთიშა ასპარეზობას, რომელშიც დამნაშავემ მეორე გაფრთხილებას გამოჰკრა ხელი), დამდეგი სეზონიდან ადრინდელისგან განსხვავებით, დაკისრებული სანქცია გაუუქმდებათ და მოედანზე პირველივე შეხვედრაში შეეძლებათ გასვლა.

თავდაპირველად ეს წესი ევროპის ჩემპიონატსა და უეფას წევრი ყველა ქვეყნის შიდა პირველობებზე ვრცელდებოდა, ხოლო ზაფხულიდან ჩემპიონთა ლიგის, თასების მფლობელთა თასისა და უეფას თასის შეხვედრებსაც მოიცავს.

ისე, სამწუხაროა, რომ უეფამ ეს ნაბიჯი მხოლოდ ახლა გადადგა და 1997-98 წლების სეზონში ორი ყვითელი ბარათით „დაჯარიმებული" ფეხბურთელები შეიწყალა. გახსოვთ, ალბათ, გასულ სეზონში 1996-97 წლების შედეგების მიხედვით, ბათუმის დინამოელი დავით სოლოღაშვილი სწორედ მსგავსი დანაშაულის გამო დაისაჯა. მან ჯერ კიდევ ფოთის „კოლხეთის" შემადგენლობაში თამაშისას მიიღო ორი ყვითელი ბარათი, მაგრამ რაღაც გაუგებრობის გამო, რატომღაც ერევნის „არარატთან" სათამაშოდ მაინც გავიდა და...

მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, ახალ სეზონში პირველი საერთაშორისო მატჩის გამოსატოვებლად მზად მყოფ დამნაშავეებს ნამდვილად ბედნიერი დღე გაუთენდათ. თუმცა ამჯერად ეს ქართველებს ნაკლებად ეხებათ, რადგან ევროთასებზე მოთამაშე ჩვენს გუნდებში არც ერთი ფეხბურთელი არ არის, უეფას ძველი ვალები რომ შემორჩენოდეს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უეფას ახალი დადგენილების მიხედვით ევროთასების საკვალიფიკაციო და საშუალედო ეტაპებზე ორ გაფრთხილებამიღებულ ფეხბურთელებს მათი გუნდების მიერ ამ ეტაპის წარმატებით გავლისა და მეოთხედფინალში გასვლის შემთხვევაში ეს ყვითელი ბარათები გაუუქმებიათ და შესაბამისად, არც ერთ მატჩს არ გამოტოვებენ.

დაბოლოს, ახალი წესი წითელი ბარათებით დაჯარიმებულ მოთამაშეებზე არ ვრცელდება, ანუ ის ფეხბურთელები, რომლებიც ერთ შეხვედრაში ორი ყვითელის ანაც სხვა რაიმე უხეშობის გამო მოედნიდან გააძევეს, შეწყალებას ვერ მიიღებენ და ძველებურად მთელი სიმკაცრით დაისჯებიან.



12 ივლისი, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი: ამ დღეს ავლანჟმა ოფიციალურად დატოვა თავისი პოსტი

# უბრალოდ „უბადლო" პრეზიდენტი...

**როგორც მოგეხსენებათ, საფეხბურთო სამყარომ ამ ზაფხულს მსოფლიოს ჩემპიონატის გარდა კიდევ ერთი, უაღრესად დრამატული ბრძოლა იხილა. საუბარია პლანეტის ნომერ პირველი თამაშის ორი უპირველესი გამგებლის — შვეიცარიელი იოზეფ ბლატერისა და შვედი ლენარტ იუჰანსონის მართლაც საარაკო დაპირისპირებაზე. მათი დავა საბოლოოდ ზედ საფრანგეთის ტურნირის დაწყების წინ გადაწყდა. 8 ივნისს, პარიზში, ფიფას მორიგ კონგრესზე, ხმათა უმრავლესობით, გამარჯვება ზეპ ბლატერს დარჩა და მანაც ღირსეულად გადაიბარა პრეზიდენტობა კაცისგან, რომელიც ოცდაოთხი წლის განმავლობაში სათავეში ედგა მსოფლიოს ფეხბურთს და უდიდესი წვლილი შეიტანა მის პოპულარიზაციაში. მიხვდით, ალბათ, ბრაზილიელ ჟოაო აველანჟს ვგულისხმობთ, რომელმაც 13 ივლისიდან ოფიციალურად დატოვა თავისი პოსტი.**

**ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს ამ რამდენიმე დღის წინ ცნობილი სამხრეთამერიკელის მიერ პოპულარულ ჟურნალ „უორლდ სოკერის" კორესპონდენტ კეირ რედნოჯისთვის მიცემული ინტერვიუ, რომელშიც ავლანჟი თავისი პრეზიდენტობის ღირშესანიშნავ მომენტებს იხსენებს.**

**— თქვენ ფიფას პრეზიდენტის პოსტზე 1974 წლის შემდეგ ბრძანდებოდით. მთელი ამ ხნის მანძილზე ვერავინ გაბედა თქვენთან სერიოზულად შეპაექრება და ამ თანამდებობის დაყავება. ახლა, როდესაც საბოლოოდ დატოვეთ უპირველესი პოზიცია, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ხომ არ მიგყვებათ თან?**

— იცით, ბევრს ეგონა, რომ ამ თანამდებობას ვერასდროს შეველეოდი და ნებით არასდროს გადავდგებოდი. მაგრამ, როგორც ხედავთ, ასე არ ვფიქრობ. ცხოვრებაში ოდესმე ყველაფერი მთავრდება და გამონაკლისი არც მე ვარ. როდესაც 80 წელს გადავაბიჯე, მივხვდი, რომ პრეზიდენტობა უფრო ახალგაზრდა, ენერგიული კაცისთვის უნდა გადამელოცა და ასეც მოვიქეცი.

**— დღესდღეობით ფიფას სიძლიერე აღარავის უკვირს, მაგრამ ეს ორგანიზაცია ხომ ყოველთვის ასე მდიდარი არ ყოფილა. საინტერესოა, რა სიტუაცია დაგხვდათ ფიფაში, როდესაც 1974 წელს ფრანკფურტის კონგრესზე პრეზიდენტობა თვით სერ სტენლი როუზისგან ჩაიბარეთ?**

— პრეზიდენტად ოფიციალურად 1974 წლის 11 ივნისს, გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე დამამტკიცეს. თავიდან ვერც კი გავათვიცნობიერე, რამხელა სირთულეებთან მექნებოდა საქმე, მაგრამ მალე მივხვდი, რომ წარმოუდგენლად მძიმე ტვირთის ზიდვა მომიწევდა. როდესაც ჩემი ხელმძღვანელობით გასამართი ალმასრულებელი კომიტეტის პირველი სხდომის დღის წესრიგს გადავავლე თვალი, გულმა მიგრძნო, არაკეთილმოსურნეებმა მზაკვრული მახე დამიგეს-მეთქი. მალე მივხვდი, რომ მთელი ძალაუფლება ჩემს ხელთ იყო და უზუსტესი გადაწყვეტილების მიღებით შემეძლო, საქმიანობა ჩემი შეხედულებებისამებრ წარმემართა. იგი ფინანსებს, ტელევიზიას, სპონსორებს, ტექნიკურ განვითარებასა და ბევრი სხვა რამეს მოიცავდა და მე მოვახერხე, ეს ჩემი განკარგულების ქვეშ მომექცია.

**— ესე იგი, უნდა ვიფიქროთ, რომ ფიფას კომიტეტების მართვაში თქვენი ურყევი რეპუტაცია სწორედ მაშინდელი ქმედებების შედეგია?**

— მე მხოლოდ შემიძლია ვთქვა, რა მოხდა ჩემი პრეზიდენტობის პირველი თვეების განმავლობაში და რა გამოცდილება შევიძინე მაშინ. სანამ ზემოთნახსენები ალმასრულებელი კომიტეტის პირველი სხდომა გაიმართებოდა, 1974 წლის ივნისში ფიფას ვიცე-პრეზიდენტები დავიბარე და ყველას ჩემი გულისნადები გავუზიარე. მსურდა, ისინი სხდომის მოგვიანებით ჩატარებაზე დამეყაბულებინა, რადგან იმ დროისთვის ვერაფრით მოვახერხე არსებულ ვითარებაში ბოლომდე, საფუძვლიანად გარკვევა. მართლაც, ჩემდა სასიხარულოდ, წინააღმდეგი არავინ აღმოჩნდა და პირველმა სხდომამ მხოლოდ ოც წუთს გასტანა.

**— სხვა უსიამოვნო სიურპრიზს თუ ჰქონია ადგილი?**

— დიახ. კიდევ ერთი სიურპრიზი მაშინ მომიმზადეს, როდესაც მიუნხენში გერმანია — ჰოლანდიის ნაკრებებს შორის გამართული ფინალური მატჩის მეორე დღეს საერთაშორისო საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგი გადმომცეს. წარმოიდგინეთ, მე ხომ პრეზიდენტად სულ რამდენიმე დღის არჩეული ვიყავი და საერთოდ არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, რა მეთქვა, ანაც რა შემეთავაზებინა. თანაც, ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ თურმე საერთაშორისო საბჭოს ყოველ წევრს ძვირფასი, სადღესასწაულო ფრაკი უნდა ცმოდა. ამის შესახებ არაფერი მსმენოდა და მიუნხენშიც არანაირი საზეიმო სამოსი არ წამიღია. რაღას ვიზამდი? რა თქმა უნდა, არ მსურდა საქვეყნოდ შევრცხვენილიყავი. ამიტომ გერმანიიდან გავიძურწე, ბრაზილიაში გადავფრინდი და იქიდან საბჭოს წევრებს ულრმესი ბოდიში შემოვუთვალე.

**— ის, რომ დღეს ფიფას მშვენიერი ოფისი აქვს, ფაქტობრივად, უშუალოდ თქვენი დამსახურებაა. საინტერესოა, რა შენობებს ფლობდა თქვენი ორგანიზაცია 1974 წელს და საერთოდ, პრეზიდენტად მისვლისას რა სიტუაცია დაგხვდათ იქ?**

— იცით, დღეს, ალბათ, ნორმალური ადამიანისთვის ძნელია იმ ვითარების წარმოდგენა, რომელიც ამ ოცდაოთხი წლის წინ ფიფაში იყო შექმნილი. არ გაგვაჩნდა შესაფერისი შტაბ-ბინა, ის კი არა, მთელი პერსონალი ციურიხში ერთ პატარა, მოძველებულ სახლს აფარებდა თავს, სადაც გენერალური მდივანი ცოლთან, ორ ვაჟიშვილთან, კატასთან და ძაღლთან ერთად ცხოვრობდა. არ დამიჯერებთ, მაგრამ იმის ადგილიც კი არ გვქონდა, ოთხზე მეტი კაცის შემადგენლობით ჩაგვეტარებინა სხდომა. ეს არა ფიფას ოფისს, არამედ მოხუცი ცოლქმრის უბადრუკ საცხოვრებელს ჰგავდა. იქ მისთვის პირველივე დღეს განვაცხადე, რომ სასწრაფოდ ახალი შტაბბინა აეშენებინათ, მაგრამ უარი მივიღე. გაწბილებული, სხვა გზა რომ ვერ გამოვნახე, ცნობილ ბანკირებს მივადექი და ახალი ფეშენებელური შტაბ-ბინის აშენებისთვის საჭირო ფულის ვალის სახით გამოყოფა ვთხოვე. მათ ავუხსენი, რომ ის თანხა, რომელსაც ყოველწლიურად სასტუმროებსა და სხვადასხვა სახის სხდომების ჩატარებაზე ვხარჯავდი, რამდენიმე წელიწადში თავისუფლად გადაფარავდა მათ მიერ გაღებულ ვალს. ბანკირებმა ყურად იღეს ჩემი თხოვნა და ფულადი დახმარებაც გაგვიწიეს. სწორედ მათი შემწეობით წამოვჭიმეთ ახალი ნაგებობა.

**— თუმცა, ფიფა ამით არ კმაყოფილდება და როგორც ვიცით, გაფართოებას აპირებს...**

— ჩვენი ორგანიზაცია ამ ბოლო ხანებში იმდენად გაიზარდა, რომ ეს ნამდვილად არ გვაწყენდა. ამიტომ ახალი შტაბბინის გვერდით არსებული ძველი სასტუმრო შევისყიდეთ, რომელშიც ტექნიკური მომსახურების პერსონალი უნდა განვათავსოთ. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ამ შენობის ფლობის სრული უფლება ჯერჯერობით სხვას ეკუთვნის. თუმცა ამით ჩვენი შენაძენი არ ამოწურულა. გარდა ამისა, ფიფას შტაბ-ბინის გასწვრივ მდებარე „სონენბურგ ჰოტელის" ყიდვასაც ვაპირებთ, სადაც საკომუნიკაციო ცენტრის წევრებს მივუჩენთ ადგილს.

**— როგორც ვიცით, თქვენი პრეზიდენტობისას მსოფლიოს ფეხბურთი რამდენიმე, ახლა უკვე მეტად პოპულარული ტურნირით გამდიდრდა. უფრო კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყოდით ამის შესახებ?**

— როდესაც ფიფაში მივედი, მხოლოდ ორი შეჯიბრი ტარდებოდა. ეს მსოფლიოს ჩემპიონატი და ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირი იყო და თანაც, გულწრფელად რომ გამოგიტყდეთ, ოლიმპიადაზე ფეხბურთელთა ასპარეზობა ცუდად ორგანიზებული გახლავთ. რა თქმა უნდა, არნახული შეცდომა იყო, როცა 27-28 წლის ეგრეთ წოდებული მოყვარულები აღმოსავლეთ ევროპიდან 17-18 წლის ბიჭებს უპირისპირდებოდნენ. ყოველივეს თავიდან მივხვდი, მაგრამ რეფორმების გასატარებლად მაინც რამდენიმე წელი დამჭირდა. უპირველეს ყოვილსა, აუცილებელი გახლდათ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან გულთბილი ურთიერთობების დამყარება. ეს საკმაოდ მოხერხებულად განვახორციელე და ფიფას ეგიდით ჩასატარებელი შეჯიბრების რაოდენობა, სტრუქტურა და ორგანიზაცია ძირფესვიანად შევცვალე. და რა გვაქვს დღეს? მსოფლიოში ათი უმსხვილესი საფეხბურთო ტურნირი ტარდება, მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონატი, ორი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ფეხბურთელთა მსოფლიო პირველობები, სახეშეცვლილი ოლიმპიური თამაშების ტურნირი, კონფედერაციათა თასი და ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ფიფას გაზრდამ და გაძლიერებამ საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ორგანიზაციის ფუნქციონირების ფინანსური მხარე.

**— მაგალითად?**

— 1974 წლამდე, სანამ ფიფას პრეზიდენტი გავხდებოდი, ყოველი წევრი ქვეყანა თავისი წარმომადგენლების დანახარჯებს თავადვე ისტუმრებდა, ახლა კი საქმე სულ სხვაგვარადაა. ფიფა აფინანსებს ყველას და ყველაფერს, მათ შორის, იხდის ოფიციალურ პირთა უმაღლესი კლასის სასტუმროებში ცხოვრების ფულს და იმ ხარჯებს, რომლის გაღებაც ჩვენი 15 კომიტეტის წევრებს სხვადასხვა აუცილებელ სხდომებზე დასწრების გამო უხდებათ.

**— თვლით თუ არა, რომ 1974 წლის შემდეგ ფეხბურთმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა?**

— ნება მომეცით, ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გასაცემად ერთგვარი სტატისტიკა გაგაცნოთ. 1970 წელს, როდესცა პირველად შევისწავლეთ, თუ როგორ იტვირთებოდნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე მივლენილი არბიტრები, აღმოჩნდა, რომ თითოეულ მთავარ მსაჯს ყოველი მატჩის დროს საშუალოდ 6 კილომეტრის გარბენა უხდებოდა. 1994 წელს იტალიის და ბრაზილიის ნაკრებების მონაწილეობით გამართული ფინალური შეხვედრის მთავარმა მსაჯმა დაახლოებით 15 კილომეტრი დაფარა. ახლა, ალბათ, ხვდებით, თუ რატომ შევამცირეთ საერთაშორისო არბიტრების სამსაჯო ლიმიტი 50-დან 45 წლამდე. სხვათა შორის, ეს ყველაფერი ჩვენი სამედიცინო კომიტეტის რეკომენდაციებით მოხდა. ბოლო ხანებში მატჩების 20 პროცენტში მთავარი არბიტრები მეორე ტაიმის უკანასკნელი წუთებისთვის საშინლად იღლებოდნენ და გადაადგილება უჭირდათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეხვედრების ბოლოს მსაჯთა მიერ დაშვებული უხეში შეცდომის ალბათობა უაღრესად მაღალი იყო. ოცი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის მომსახურე არბიტრები 45-დან 50 წელს იყვნენ მიტანებულნი. ახლა კი მსაჯი, რომელმაც საერთაშორისო აღიარება 38 ანაც 40 წლამდე ვერ მოიხვეჭა, ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის მომსახურების უფლებას ვერაფრით მიიღებს.

**— ფიფას ძირითადი შემოსავლის წყაროს ხომ ვერ გაგვიმხელთ?**

— სადღისოდ ჩვენს ხაზინაში ფულის უპირველეს და უმსხვილეს შემომტანად მსოფლიოს ჩემპიონატი რჩება. 1978 წელს არგენტინაში გამართულმა ტურნირმა ფიფას დაახლოებით 88 ათასი დოლარის მოგება მოუტანა. წლეულს კი არნახული შემოსავალი ვნახეთ — 500 მილიონი დოლარი! ახლა ფინალური ტურნირის ტექნიკური ასპექტიც განვიხილოთ: 1974 წელთან შედარებით წლეულს პირველობის მონაწილეთა რაოდენობა 16-დან 32-მდე, ანუ ორჯერ გაიზარდა. პირველობის ჩატარების ვადები კი თითქმის იგივე შენარჩუნდა. სხვა ციფრები ასე გამოიყურება: 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი სავარაუდოდ 1,6 მილიარდ დოლარს მოგვიტანს, ფიფას ამჟამინდელი სიმდიდრე 100 მილიონ დოლარადაა შეფასებული, ხოლო მომდევნო ათი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 4 მილიარდს მიაღწევს.

**— თქვენს ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდით, რომ ფიფა მალე უმსხვილესი საერთაშორისო ორგანიზაცია გახდება. თვლით თუ არა, რომ სპორტული ადმინისტრაციული ორგანოსთვის ეს აუცილებელია?**

— ფიფა მართლაც უმძლავრესი სტრუქტურული ერთეულია. იმდენად მსხვილი, რომ ნამდვილად ვერ ვიხსენებ სხვა რომელიმე ორგანიზაციას, ვინც ჩვენთან შედარებას იმსახურებს. როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიოში 400 მილიონი ადამიანი უშუალოდ თუ არაპირდაპირი გზით მჭიდროდაა დაკავშირებული ფეხბურთთან. ეს თამაში ხალხისთვის საარსებო წყაროს წარმოადგენს. სადღეისოდ ჩვენი ფინანსური სახსრების წლიური ბრუნვა 150 მილიარდ დოლარს შეადგენს. შედარებისთვის გეტყვით, რომ მსოფლიოს უდიდესი კომერციული კორპორაცია „ჯენერალ მოტორსს" წელიწადში 170 მილიარდი დოლარის წრებრუნვა აქვს. როგორც ხედავთ, სულ მალე პირველები სწორედ ჩვენ ვიქნებით.

**— თქვენ ხშირად გაკრიტიკებენ მუშაობის უაღრესად მკაცრი სტილის გამო და არცთუ იშვიათად დიქტატორსაც მიწოდებენ. როგორ რეაგირებთ ამგვარ დამოკიდებულებაზე?**

— ახლა, როდესაც მსოფლიოს დემოკრატიზაციაზეა საუბარი, მსურს, ერთი რამ მეც ვთქვა. ფიფას აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც ჩვენი ორგანიზაციის მთავარ ძალას წარმოადგენს, კონტინენტალური კონფედერაციების მიერ აირჩევა. ეს ჩემი საქმე საერთოდ არ არის. მე მხოლოდ ამ კომიტეტის პრეზიდენტი ვარ და ეს მაიძულებს, ის ცვალებადი ბალანსი მივიღო, რომელსაც იქ შემავალი წევრები წარმოადგენენ. არ მესმის, რატომ არის ეს დიქტატურა. ჩვენს ორგანიზაციაში თითოეულ წევრს თავისი დანიშნულება აქვს და მათზე არავინ ზემოქმედებას არ ახდენს.

**— ვიცით, რომ ბრაზილიაში ერთ-ერთი უმსხვილესი სატრანსპორტო კომპანიის მფლობელი ხართ. როგორ ანაწილებთ დროს ფიფასა და კომპანიას შორის?**

— 12 ივლისის ფინალური მატჩის შემდეგ დავჯექი და ახლებურად ცხოვრებაზე დავფიქრდი. მე ხომ ფიფას პრეზიდენტი აღარ ვარ და ამიერიდან თავისუფალი დროც მეტი მექნება. თუმცა ერთადერთი, რისი გაკეთებაც შევძელი, ისევ და ისევ სტატისტიკური გამოთვლები გახლდათ. ჩემი გაანგარიშებით ფიფას სათავეში ყოფნისას 9000 დღიდან 7200 სამსახურეობრივი საქმიანობის გამო ჩემი ქვეყნის საზღვრებს გარეთ გავატარე. ამის შემდეგ ვის მოუბრუნდება ენა პრეტენზიების გამოსათქმელად? ერთადერთი, ვინც ჩემი ცხოვრების წესის მსხვერპლი შეიქმნა, ეს საბრალო ჩემი მეუღლეა. მე ხომ შინ არასდროს არ ვარ! ასე რომ, ფეხბურთისადმი ორგულობაში ვერავინ დამადანაშაულებს.

**— საინტერესოა, ფიფას ყველა წევრ ქვეყანაში ხართ ნამყოფი?**

— არა, სამწუხაროდ, ეს დღემდე ვერ მოვახერხე. მე „მხოლოდ" 196 მათგანის მონახულება შევძელი. გული მწყდება, რომ ანარუბაში, სამოასა და ყო[illegible]ლ საბჭოთა კავშირის აზიურ ქვე[illegible]ში არ ვყოფილვარ. სამაგიეროდ, არ[illegible]ნული პატაგონიიდან დაწყებული ფი[illegible] კ[illegible]პომდე არცერთი [illegible] არ გამომი[illegible]ვებია. ასე რომ, ჩემს მი[illegible]თ სა[illegible]რო არც ერთ ჩვენს წევრს, არ [illegible]ს.

**— როდესაც თქვენს სპორტულ კარიერას იხსენებთ, ყველაზე მეტად რომელი მოვლენები გაგონდებათ?**

— ალაბთ, ბევრმა არ იცის, რომ ახალგაზრდობაში წყალბურთელი ვიყავი და ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიურ თამაშებზეც ვიასპარეზე. თუმცა ჩემი ინტერესი მხოლოდ წყალბურთით როდი შემოიფარგლებოდა. მე თითქმის ყველა სპორტის ტრფიალი გახლდით. მახსოვს, 1950 წელს ბრაზილიაში გამართულ საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინალურ მატჩში ურუგვაელებმა გვძლიეს. ჩემს გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა. ისევე, როგორც „მარაკანაზე" მისული უამრავი გულშემატკივარი, თავს ვერ ვიკავებდი და ცხარე ცრემლებით ვტიროდი. ასევე ვიხსენებ ბრაზილიის სპორტის სამინისტროს თანამშრომლად გახდომას, სადაც 1955-დან 1974 წლამდე დავყავი. როდესაც ეს პოსტი დავტოვე, ერთადერთი მიზანი მამოძრავებდა — ფიფაში მოხვედრა მსურდა და ეს შევძელი კიდეც. თუმცა, მინდა ყველამ იცოდეს, რომ ფიფაში ფეხბურთის საყურებლად და დროის მოსაკლავად არ მივსულვარ. მინდოდა, მსოფლიოს ფეხბურთის სწორ გზაზე დამეყენებინა და ეს თამაში უპოპულარეს სპორტად მექცია. მე მართლაც ვამაყობ, რომ ყოველივე ამის ასრულება შევძელი. მე ჩემი სული და გული ჩავდე ფეხბურთში და მთელი სიცოცხლე მას მივუძღვენი.

**„უორლდ სოკერიდან" თარგმნა**
**ირაკლი ხმელიძემ**

ჭიდაობა

# 36-ე ტრადიციული



მუხტარ დადაშევი, ვახტანგ ბალავაძე, დავით ციმაკურიძე

ჭიდაობა რომ ქართველთათვის ეროვნული სიამაყეა, ამას მტკიცება არ უნდა. უჭირდა თუ ულხინდა, გლოვობდა თუ ზეიმობდა, ჩვენი წინაპრები მუდამ მღეროდნენ, ცეკვავდნენ და ჭიდაობდნენ. ჭიდაობა ძალის, მოხერხების, ვაჟკაცობისა და რაინდობის საზომი იყო. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ქართველთა ეროვნული მენტალიტეტი ჭიდაობაშიც ვლინდებოდა და ვლინდება. ხშირად ასეც ხდებოდა — თალპიონზე დამარცხებული ქართველები მტრის ჯარს საჭიდაო მოედანზე იყრიდნენ.

შემთხვევითი არ იყო, რომ 1962 წელს თბილისში დაიბადა საერთაშორისო ტურნირი, რომელმაც დაარსების დღიდანვე მსოფლიო აღიარება მოიპოვა. 1973 წლიდან მას სახელგანთქმული ფალავნის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონისა და ერთგზის ვიცე-ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორის, „ჭიდაობის პროფესორად" წოდებული ვახტანგ ბალავაძის სახელი დაერქვა. ჭიდაობის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციამ იგი უმალ ჩართო თავის კალენდარში და უმაღლესი კატეგორიის სტატუსი მიანიჭა. ამიტომ იყო, რომ ტურნირზე ყოველთვის ამ სახეობის ელიტა იყრიდა თავს. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენებურმა სარბიელმა ჩემპიონობისკენ სავალი გზა დაულოცა ისეთ სახელოვან ათლეტებს, როგორებიც იყვნენ ყოფილი საბჭოელები: სერგეი ბელოგლაზოვი, რომან დმიტრიევი, ვასილ იუმინი, სანასარ ოჰანესიანი, იური შახმურადოვი, ალექსანდრ მედვედი, ალექსანდრ ივანიცკი; ირანელები: აბდულა მოვაჰედი, ავირ ჰოდაბანდი, ანვარ ჰეიდარი, ჰასან ჰურასტოლი; ამერიკელები: დევიდ შულცი, ბრიუს ბაუმგარტნერი, დევიდ ბემი და სხვები.

ამ ტურნირზე საქართველო ყოველთვის ცალკე გუნდით ასპარეზობდა და ძალიან დიდი წარმატებითაც. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ ყველა შეჯიბრზე მოპოვებული 82 სხვადასხვა ხარისხის მედლით ჩვენი ნაკრები მხოლოდ ყოფილი სსრკ-ს გუნდს ჩამორჩება. სხვადასხვა წლებში ქართველთაგან ამ ტურნირის ჩემპიონები ყოფილან უნიჭიერესი ვლადიმერ რუბაშვილი, ზარბეგ ბერიაშვილი, გურამ სალარაძე, შოთა ლომიძე, ლევან თედიაშვილი, დავით გობეჯიშვილი, ლერი ხაბელოვი და სხვები. საერთოდ, ქართველთა მონაწილეობა ყოველთვის ამშვენებდა მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ასპარეზობას, რომლის ბადალიც ყოფილ საბჭოთა კავშირში არ მოიპოვებოდა.

1960 წლამდე ტურნირი ფილას წესების მიხედვით, რვა წონით კატეგორიაში ტარდებოდა, 1969 წლიდან — ათში, ახლა კი, ფილას ორი წლის წინანდელი დადგენილების თანახმად, ფალავნები კვლავ რვა წონით კატეგორიაში ცდიან ძალას.

1962 წლიდან მოყოლებული ტურნირი მხოლოდ ერთხელ — 1992 წელს არ ჩატარდა ჩვენში გამეფებული ქაოსის გამო, მაგრამ, აღადგინეს თუ არა, მისი პრესტიჟი საგრძნობლად შეილახა. იგი ფილას კალენდარში კვლავინდებურად კი შედის, მაგრამ ახლა, ადრინდელისგან განსხვავებით, ერთი ჩვეულებრივი, რიგითი, უკატეგორიო ტურნირია და ძველებურად უმაღლესი სტატუსი არ გააჩნია. მისი ავტორიტეტის ასეთი დაცემა ჩვენს ქვეყანაში არსებულმა არასტაბილურობამ და ეკონომიურმა სიდარიბემ გამოიწვია. უცხოელები სულ უფრო იშვიათად გვსტუმრობდნენ და საქმე იქამდეც მივიდა, რომ ბოლო წლებში ტურნირში ძირითადად ქართველები მონაწილეობდნენ და საერთაშორისო სახეს ჩვენი უახლოესი ამიერკავკასიელი მეზობლები თუ აძლევდნენ.

წლევანდელ, 36-ე ტურნირსაც ბოლო ხანს ესოდენ ნაცნობი სურათი გამოარჩევს. პრობლემათა შორის უპირველესი მაინც უფულობაა. მართალია, მედლების, დიპლომების, სარეკლამო აფიშების, მოსაწვევი და საცნობარი ბროშურების დამზადება სხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებასთან ერთად მოხერხდა, მაგრამ არავინ უწყის, რა ნერვიულობის ფასად. რაც შეეხება საპრიზო ფონდისთვის სახსრების გამოყოფას, თუ დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი აქათიანს ვენდობით, ეს საქმე პრაქტიკულად მოგვარებულია.

დაბოლოს, მონაწილეთა შესახებ. წინასწარი ინფორმაციით თბილისში ჩამოდიან ირანის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ოსეთის, მოსკოვისა და უკრაინის გუნდები. ამათ წინასწარი თანხმობა უკვე მოგვცეს, მაგრამ მწარე გამოცდილება (თუნდაც ახლახან ჩატარებული გივი კარტოზიას ხსოვნის ტურნირისა) გვასწავლის, რომ დასტური ჩამოსვლას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. ჰოდა, ჩვენც შემოდგომაზე ვთვალოთ წიწილები. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არ გვეწვევიან ამერიკელი მოჭიდავეები. არადა, რარიგ დაამშვენებდნენ ისინი ჩვენს ტურნირს და რამდენი საინტერესო ორთაბრძოლით დაუმახსოვრებიათ თავი აქაური მაყურებლისთვის, რომელიც ყოველთვის პირთამდე ავსებდა სპორტის სასახლის ტრიბუნებს. თუნდაც დავით გობეჯიშვილისა და ბრიუს ბაუმგარტნერის პაექრობა გავიხსენოთ. და კიდევ — შეუძლებელია, ამერიკელ მოჭიდავეებზე საუბრობდე და არ ახსენო განუმეორებელი დეივ შულცი, რომელსაც ცბიერ, მაგრამ უძლიერეს ფალავნად იცნობდნენ და თბილისს ცოლ-შვილთან ერთად სტუმრობდა. სამწუხაროდ, იგი ველარასოდეს გავა ხალიჩაზე — ამ ორიოდე წლის წინ დეივ შულცი თავისსავე სახლში სრულიად უაზროდ გამოასალმა სიცოცხლეს. მისმა თავქარიანმა ძმაკაცმა, იარაღზე უზომოდ შეყვარებულმა ალან დიუპონმა.

ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში კიდევ ბევრ ცნობილ ფალავანს ვერ ვიხილავთ.

**ირაკლი თავაძე**

კალათბურთი

# კიდევ ერთი წლით რუსეთში



ირაკლი ვაშაკიძე ერთდროს დინამოსთვის ირჯებოდა

ქართული კალათბურთი ღრმა ძილს მისცემია. რას იზამ? დროა ასეთი. ახლა ხომ ჩვენში განსაკუთრებულად ცხელა. მალე ზაფხულიც მიილევა, მაგრამ ეს არავის ადარდებს. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი კალათბურთის მესაჭენი მორიგი, მერვე ჩემპიონატის დაწყების თარიღს რომ გვამცნობენ, ყველას ერთბაშად შეამცივნებს. ეს უკვე ტრადიციაა და ქართველი რის ქართველია, წესს გადაუხვიოს. გასაკვირიც არაფერია.

ამასობაში ვინც ივარგა, თბილისურ ხვატს გაცლა ამჯობინა და სქელმა ჯიბემაც ხელი შეუწყო, თავს უშველა. ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონი „ვითა" კეჩხობს ესტუმრა და იქ შეუდგა მომავალი სეზონისთვის მზადებას. რუსთავის „აზოტი" ერთი კვირაა, შავი ზღვის სანაპიროზე, ურეკში დაბანაკდა. მათი მიზნები უფრო მაღალია. სექტემბრის თექვსმეტში უკრაინული „შახტიორი" რომ გვეწვევა, დახვედრაც საკადრისი უნდა. ცხადია, აქ სტუმარ-მასპინძლობას არ ვგულისხმობ. ეს არ გვეშლება. სხვა გუნდებზე კი რა მოგახსენოთ. მათი ჩამიჩუმი არ ისმის. ალბათ, ჯერ ვერ გაურკვევიათ, სად უფრო ნაკლებად იკბინება მზე.

ჩვენგან განსხვავებით, საკალათბურთო ევროპა კარგა ხანია ფხიზლობს. ჩვენი ლეგიონერებიც მშობლიურ ქალაქში გატარებული შვებულების შემდეგ თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ. ნაკრების კაპიტანი ვატო ნაცვლიშვილი თურქეთს ჩაფრინდა და იზმირის „კარშიაკაში" მოეწყო, დათო ბერძენიშვილი მომავალი სეზონისთვის „სლოვაკოფარმაში" ემზადება, ჩვენი სიეტლელი ვლადიმერ სტეფანია შტატებში ჩასვლამდე ანთალიას ეწვია ინდივიდუალურად სავარჯიშოდ. კიდევ...

ამას წინათ, დიღმის საკალათბურთო ბაზაზე სტუმრობისას მოულოდნელად ირაკლი ვაშაკიძეს წავაწყდით. ვის არ ახსოვს, ახალგაზრდა ირაკლი ოდინდელ „დინამოში" რომ გამოჩნდა და მაშინვე სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მიუხედავად ყველაფრისა, ვაშაკიძე თავისი საყვარელი საქმის ერთგული დარჩა და ისევ ყმაწვილური ჟინით მოვარჯიშე რომ ვნახეთ, ცოტა არ იყოს, გაგვიკვირდა. ჰოდა, უმალ მასთან გასაუბრება მოვინდომეთ.

— მოსკოვის „სპარტაკთან" მაისში დამიმთავრდა კონტრაქტი, მაგრამ გუნდის ხემლძღვანელობამ კიდევ ერთი წლით დარჩენა შემომთავაზა. პირობებიც ყოველმხრივ მაკმაყოფილებდა და ბუნებრივია, თანხმობა განვუცხადე. ასე რომ, 1999 წლის მაისის ჩათვლით ამ კლუბის საკუთრება ვარ.

**— რა გუნდია „სპარტაკი"?**

— რუსეთის კვალობაზე საკმაოდ ძლიერი გუნდია. წინა სეზონში მეოთხე ადგილზე გავედით. გეგმაც ასეთი დავისახეს, წლეულს კი სამეულს ვუმიზნებთ. ცნობისთვის, პირველ სამ გუნდს ევროლიგაზე ავტომატურად შეუძლია თამაში. ეს კი დამატებით სტიმულს გვაძლევს. შარშან კორაჩის თასზე მერვედფინალამდე მივაღწიეთ, სადაც იტალიურმა „კალდიევამ" მოგვიგო. ამ გუნდიდან ორი კაცი აპენინელთა ხუთეულშიც იყო ჩვენი ნაკრები რომ ეთამაშა სიენაში.

ისე კი „სპარტაკი" საკმაოდ ახალგაზრდა გუნდია. ექვის წელია, რაც შეიქმნა და თანდათან პროგრესს განიცდის. კლუბის პრეზიდენტი სერგეი პოპოვი საქმიანი, სერიოზული, საკალათბურთო სამყაროში ცნობილი კაცია. მიზნებიც მაღალი დაუსახავთ. ახლახან ექვსიათასადგილიანი დარბაზის მშენებლობა დაიწყეს, 2000 წლისთვის ჩემპიონობასაც აპირებენ.

გუნდი შესამჩნევად გადახალისდა. მთავარი მწვრთნელი ბაშკიროვი გაათავისუფლეს და ამიერიდან სერგეი ბელოვი გვიხელმძღვანელებს. იგი ძალიან ავტორიტეტული, მომთხოვნი სპეციალისტია. ეს გუნდზეც და პირადად ჩემზეც დადებითად იმოქმედებს. ძველებიდან მხოლოდ ხუთი კალათბურთელი დაგვიტოვეს, დანარჩენების ადგილს კი ახალგაზრდა, პერსპექტიული ბიჭები დაიკავებენ. ჩემპიონატი სექტემბერში დაიწყება, ამავდროულად საპორტას თასზეც ვიასპარეზებთ. ვფიქრობ, ურიგოდ არ უნდა ვითამაშოთ.

**— მოდით, ახლა ნაკრებზეც ვთქვათ. საერთოდ, ქართულ კალათბურთზე.**

— ნუ მიწყენთ, მაგრამ პირადად მე ძალიან პესიმისტურად ვარ განწყობილი. ასე მგონია, კალათბურთი არავის აინტერესებს. სიმართლე გითხრათ, მომავალსაც ვერ ვხედავ. არადა, ჩვენ გვაქვს სამისო პოტენციალი, მაგრამ ამას გამოყენება უნდა. ისეთი ბიჭები, როგორებიც სტეფანია და ნაცვლიშვილი არიან, ნაკრებისთვის ასე იოლად არ უნდა იკარგებოდნენ. როცა ჯგუფიდან გასვლის შანსი გვქონდა, ამას სათანადო ყურადღება არ მიაქციეს, საამისოდ ვერავინ მოიცალა.

ჩემპიონატიც ერთობ უბადრუკი გვაქვს. შეუძლებელია, აქ რაიმე დონეს მიაღწიო. სჯობს ისევ სადმე, საკალათბურთო ქვეყანაში წახვიდე, თუ, რა თქმა უნდა, ამის საშუალება გაქვს. იგივე სტეფანიას მაგალითი ავიღოთ. ვოვას თუ წარმატებები აქვს, ეს უპირველესად სლოვენების დამსახურებაა. სწორედ მათ აქციეს იგი პროფესიონალად. დარწმუნებული ვარ, მეც ვერ ვითამაშებდი, ჩემს გვერდით დარსაძე, კაპუსტინი, ტიუბინი, ოპოშნიანი რომ არ ყოფილიყვნენ. რაც ვიცი, მხოლოდ მათგან. ამ ოსტატებმა მაზიარეს კალათბურთის ანბანს. ეს ჩემთვის დიდი სკოლა იყო.

აუცილებლად უნდა ამაღლდეს მწვრთნელთა მომზადების დონეც. უმისოდ არაფერი გამოვა. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა კალათბურთსაც. მოკლედ, ყველაფერზე დაფიქრება გვმართებს. ილუპება დიდი ტრადიციების მქონე ქართული კალათბურთი. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ ჩვენზე მზრუნველ კაცს ვერ ვხედავ. ერთიც იცოდეთ, ირაკლი ვაშაკიძე ყოველთვის იქნება ქართული კალათბურთის სამსახურში.

**გიორგი ბიძაშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ინტერტოტოს თასის გათამაშება. III ეტაპი. საპასუხო მატჩები

**25-26 ივლისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჰანზა (გერმანია) — დებრეცენი (უნგრეთი) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| სამპდორია (იტალია) — ჰარელბეკი (ბელგია) | (—-25,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ესპანიოლი (ესპანეთი) — ოსერი (საფრანგეთი) | (1,3-2,8) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ამადორა (პორტუგალია) — რუხი (პოლონეთი) | (1,15-4,0) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| შინიკი (რუსეთი) — ვალენსია (ესპანეთი) | (15,0-1,01) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| სამსუნსფორი (თურქეთი) — კრ. პალასი (ინგლისი) | (1,01-15,0) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ვორსკლა (უკრაინა) — სიტარდი (ჰოლანდია) | (7,5-1,05) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ნაციონალი (რუმინეთი) — ბოლონია (იტალია) | (7,5-1,05) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ალთაი (თურქეთი) — ბასტია (საფრანგეთი) | (7,5-1,05) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ვერდერი (გერმანია) — ლომელი (ბელგია) | (—-25,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ზალცბურგი (ავსტრია) — ტვენტე (ჰოლანდია) | (1,3-2,8) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ბალტიკა (რუსეთი) — ვოივოდინა (იუგოსლავია) | (4,0-1,15) | 1,5 | 3,3 | 6,0 |

შვეიცარიის ჩემპიონატი. III ტური

**25 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სენტ გალენი — სიონი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| სერვეტი — ლუცერნი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ბაზელი — ციურიხი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ქსამაქსი — აარაუ | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| გრასჰოპერი — ლუგანო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ლოზანა — იანგ ბოიზი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

პოლონეთის ჩემპიონატი. I ტური

**25 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| რაძიონკოვი — ვიძევი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ამიკა — ლეხი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| კატოვიცე — სტომილი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლეგია — ზაგლებიე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ბელხატოვი — პოლონია | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ვისლა — ოდრა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ლკს ლოძი — გურნიკი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი I სავაჭრო ცენტრი.

*(№63 კარკუთილი I მიკრორაიონში, „კროკოს" ბიურო გაუქმებულია).*

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „რიონის" შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაის) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# მამის გული



ანდრე აგასი

**ვაშინგტონი. აშშ. ლეგ მეისონ ტენის კლასიკი. ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 700 ათასი $**

34 წლის ჯიმი არიასს, ერთ დროს საუკეთესო ოცეულში შემავალ ამერიკელს, უკვე ოთხი წელია არ ეთამაშა პროფესიონალურ პირველობაზე, მაგრამ ზაფხულის ჰარდის სეზონის გამხსნელი „კლასიკის“ ორგანიზატორთა მიწვევაზე უარი არ უთქვამს.

არიასის დიდ სპორტში მობრუნება (ალბათ, მაინც დროებითი) მართლაც გამორჩეული გამოდგა. პირველ წრეში მისი შეხვედრა თანამემამულე უეიდ მაკგუაიერთან მეორე სეტში ქარიშხალ „ელ ნინიოს“ გამო შეწყდა 6:3, 2:5 ანგარიშზე, მაგრამ ოთხშაბათს დილით მისი განახლება ვერ მოხერხდა — 50-გრადუსიან სიცხეში თამაშით გათანგული მაკგუაიერს მთელი ღამე საავადმყოფოში გაეტარებინა გამოფიტვის გამო.

არიასი მეორე წრეში უბრძოლველად კი მოხვდა, მაგრამ წინა დღეს მასაც არანაკლები რამ შეემთხვა. „ღამის სამ საათზე ჩემი პატარა ქალიშვილი ატირდა და როგორმე მის დაწყნარებას ვცდილობდი, თუმცა ამის ნაცვლად პირველს თავად დამეძინა, ლოგინიდან გადმოვვარდი და კისერი ვიტკინე“. არიასს ტკივილის გასაყუჩებლად თურმე კორტიზონი გაუკეთეს. „კიდევ კარგი, არავინ შემამოწმა, თორემ დოპინგტესტს ნაღდად ვერ გავივლიდი. რა მექნა, ისე მტკიოდა, ისიც კი ვიფიქრე, ერთი ტყვია შუბლში და მისი ჯანი-მეთქი“.

თუმცა მეორე წრეში ვაშინგტონულ ხვატში ტანჯვა ჯიმის დიდხანს არ გაგრძელებია — მისი მეტოქე მესამედ განთესილი უეინ ფერერა იყო და სამხრეთაფრიკელმაც საათზე ნაკლებში, 6:1, 6:2 მოიგო. „კიდევ კარგი. ისე, ვატყობ ამიერიდან ვეტერანთა ტურნირებზე გადაბარგება მომიწევს“ — ასეთი იყო არიასის კომენტარი.

მეორე წრეში ანდრე აგასი თავის ძველ მოქიშპესა და მეტოქეს, ტრავმებით გატანჯულ დევიდ უიტონს ხვდებოდა. ამ ორის მეტოქეობა ჯერ კიდევ ნიკ ბოლეტიერის აკადემიაში დაიწყო, ათიოდ წლის წინ, თუმცა პროფესიონალურ სარბიელზე ისინი სულ მეცხრედ შეხვდნენ ერთმანეთს. „ჩვენ ერთად გავიზარდეთ. ამიტომ რაღაც ახლის შეთავაზება ერთმანეთისთვის არ შეგვიძლია. მთავარი ის არის, ამა თუ იმ დღეს რომელი უკეთ აღმოჩნდება მომზადებული“ — განაცხადა ანდრემ, რომელმაც 6:4, 6:2 გამარჯვებით პირად შეხვედრათა ანგარიში 6:3 გახადა. ამჟამად შესანიშნავ ფორმაში ვარ. თუ მსგავს კონცენტრაციასა და დისციპლინას შევინარჩუნებ, ჯერ კიდევ ბევრის მიღწევას შევძლებ“ — დაამატა მატჩის შემდეგ აგასიმ, რომელიც როლან გაროსსა და უიმბლდონზე იმედგაცრუების მიუხედავად ამერიკის ღია პირველობას მაინც დიდი იმედით ელის.

**მეორე წრე: მაიკლ ჩანგი (1, აშშ) — მაიკლ სელი (აშშ) 6:2, 6:3; ბაირონ ბლექი (4, ზიმბაბვე) — გრანტ სტაფორდი (სამხრეთ აფრიკა) 4:6, 6:1, 6:0; ფილიპ დევულფი (5, ბელგია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 7:6 (7:4), 6:1; ჯიმ კურიე (7, აშშ) — მარკოს ონდრუშკა (სამხრეთ აფრიკა) 6:4, 6:7 (4:7), 6:1; სკოტ დრეიპერი (14, ავსტრალია) — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 4:6, 6:3, 7:5 (8:6); ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) — ენდრიუ ილი (10, ავსტრალია) 6:7 (8:10), 6:3, 6:1.**

**შტუტგარტი. გერმანია. „მერსედესის თასი“. ტარდება თიხნარზე. საპრიზო ფონდი 1,04 მილიონი $**

მერსედესის თასზე, რომელიც სეზონის უკანასკნელ დიდ სათიხნარო ტურნირს წარმოადგენს, მეტად წარმომადგენლობითი კომპანია კი შეიკრიბა, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა ასპარეზობას პირველივე ჩატარებული შეხვედრის შემდეგ გამოეთიშა.

გასულ უქმეებზე ჩატარებული დევისის თასის მატჩები ძალზე დამღლელი აღმოჩნდა ალექს კორეტხასათვის (3) — ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა თანამემამულე კარლოს კოსტასთან მარათონულ, სამსაათიან ორთაბრძოლას ვერ გაუძლო და 6:7(4:7), 7:6(8:6), 5:7 წააგო. კორეტხას არც საფრანგეთის ღია პირველობის 1996 წლის გამარჯვებული ევგენი კაფელნიკოვი ჩამორჩა. სოჭელმა ჟენიამ ჩეხ ბოგდან ულირახთან დათმო მატჩი 3:6, 6:3, 3:6 და აგერ უკვე ზედიზედ მეოთხედ, სეზონში კი მეათედ მოუხდა ტურნირიდან აბარგება პირველივე წრის შემდეგ.

როლან გაროსის კიდევ ერთმა ექსჩემპიონმა, ავსტრიელმა ტომას მუსტერმა ესპანელ ფერნანდო ვისენტესთან შეხვედრის მეორე სეტში მატჩ-პოინტებიც კი გადაარჩინა, მერე ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხა, მაგრამ მატჩის უკანასკნელ გეიმში საკუთარ მოწოდებაზე ორი ორმაგი შეცდომით მთელი შრომა წყალს გაატანა 3:6, 7:6(7:5), 5:7.

შტუტგარტში პირველად განთესილი მარსელო რიოსია, რომელიც გერმანიაში მშობლიურ სანტიაგოში ჩატარებული დევისის თასის მატჩების დასრულებისთანავე გადაფრინდა. სტიმული მას მართლაც დიდი ჰქონდა: კიკინიან ჩილელს ამ კვირაში კიდევ ერთხელ ეძლევა კლასიფიკაციაში პიტ სამპრასის გადასწრების შანსი — პირველი ჩოგნობის დასაბრუნებლად მას აქ ფინალში გასვლაც ყოფნის. მეორე წრეში რიოსმა მასპინძელ იენს ნიპშილდს მოუგო 7:6(7:5), 6:2.



მარსელო რიოსი

**მეორე წრე: ბორის ბეკერი (გერმანია) — სედრიკ პიოლინი (9, საფრანგეთი) 7:6(7:5), 6:1; გიიომ რაუქსი (საფრანგეთი) — ალბერტო ბერასატეგი (8, ესპანეთი) — 6:1, 6:2; ალბერტ პორტასი (ესპანეთი) — [illegible] ბრის სანტორო (12, საფრანგეთი) 1:6, 6:2, 7:6(9:7), კარლოს მოია (2, ესპანეთი) — ხულიან ალონსო(ესპანეთი) 7:6(7:5), 7:5; კაროლ კუჩერა (5, სლოვაკეთი) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 6:1, 6:1; ფელიქს მანტია (7, ესპანეთი) — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 7:6(7:5), 6:4; ალბერტ კოსტა (6, ესპანეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:3, 6:4.**

**ავთანდილ სვანიძე**



# ქართველთა მეგობარი მოლდოველი ვასიკო



ვასილი კოლცა

იაპონელი და ქართველი ძიუდოისტების ერთობლივი საწვრთნელი ვარჯიშებისადმი მოლდოველმა ფალავნებმა დიდი ინტერესი რომ გამოიჩინეს და თბილისში ჩამოსვლაზე დასტურიც თქვეს, ამაზე ადრეც გაუწყეთ. სიტყვის ხალხი ყოფილან ჩვენი ოდინდელი თანამემამულენი და უკვე ერთი კვირაა, საქართველოს დედაქალაქს სტუმრობენ. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ იაპონელთა თავკაცზე ისიჰურო იამასიტაზე მოგითხრობდით და ცოტა უყურადღებოდაც დაგვრჩნენ მოლდოველები. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო — ნათქვამია და ჩვენც, ამ ძველქართულ სიბრძნეში გათვითცნობიერებულებმა, მოლდოველთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ვასილი კოლცას ინტერვიუ ვთხოვეთ.

— მაისში ესპანეთის ევროპის ჩემპიონატზე შოთა ხაბარელმა მითხრა, ზაფხულში იაპონელები უძლიერესი შემადგენლობით გეწვევიან და თუ სურვილი გექნებათ, თქვენც ჩამოდითო. არც კი მიფიქრია, ისე დავთანხმდი, როგორი საქმეა, ქართველები თავისთან გეპატიჟებიან და თან იაპონელებთან ერთობლივი ვარჯიშების ჩატარებას გთავაზობენ. ასეთ ფუფუნებაზე რომელი ჭკუათმყოფელი მწვრთნელი იტყოდა უარს.

— **ვატყობ, ქართველ ძიუდოისტებზე საკმაოდ მაღალი აზრის ბრძანდებით.**

— როგორ გგონიათ, რატომ წამოიყვანა იამასიტამ საქართველოში რჩეული ბიჭები? მოკლედ გიპასუხებთ — თქვენგან ბევრის სწავლა შეიძლება. კი ბატონო, იაპონია ძიუდოს სამშობლოა, საერთაშორისო ასპარეზზეც ფავორიტები არიან, მაგრამ ერთიც ვთქვათ, თუ ვინმე ჯაბნიდა მათ და დღესაც დიდ კონკურენციას უწევს, თქვენ, ქართველები ხართ.

— **თქვენ როგორი ბიჭები ჩამოიყვანეთ?**

— მოლდოვაში საუკეთესონი: მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ვიქტორ ბივოლი, ევროპის ვერცხლის მედალოსანი ანდრეი გოლბანი, ევროპის ახალგაზრდათა ჩემპიონატის ბრინჯაოს მფლობელი ნიკოლაი ბელოკასოვი, მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში ვიქტორ ფლარესკუ და გუნდში ყველაზე უმცროსი დიმიტრი გადერკა, რომელიც ბალკანეთის ჩემპიონია 100 კგ წონით კატეგორიაში. აქვე გეტყვით, რომ ქართველმა მეგობრებმა კარგი პირობები შეგვიქმნეს სავარჯიშოდ და ჩემი ბიჭებიც ძალიან კმაყოფილნი არიან თბილისში გატარებული დღეებით.

— **ახლანდელი მეგობრები თავის დროზე მეტოქენი იქნებოდნენ.**

— შოთა ხაბარელთან და არა მარტო მასთან მართლაც დიდი მეგობრობა მაკავშირებს. რაც შეეხება მეტოქეობას, მართალია, დიდი ძიუდოისტი არ ვყოფილვარ და საერთაშორისო სარბიელზეც თავი დიდად არ გამოუჩენია, მაგრამ სამწვრთნელო კარიერის მანძილზე ჩემი ბევრი შეგირდი დაჭიდებია ქართველ ფალავნებს. მოსკოვის ოლიმპიადაზე შოთა ხაბარელმა ფინალში გასასვლელ ბრძოლაში სწორედ ჩემს აღზრდილ ბულგარელ პეტროვს სძლია და საბოლოოდ ჩემპიონიც გახდა. ამჯერად კი შოთას შეგირდებთან უწევთ პაექრობა ჩემი ნაკრების წევრებს. აქვე გეტყვით, აქაური მეგობრები ვასიკოს მეძახიან.

— **თბილისში საერთაშორისო ტურნირზე თუ გვეწვევით?**

— რა თქმა უნდა, ამ ტურნირს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი. მართალია, იგი ისეთი დონის აღარაა, ადრე რომ იყო, მაგრამ მწამს, თავის სახელსა და ავტორიტეტს უკვე დაიბრუნებს. არადა, მახსოვს, თბილისის ტურნირს სიძლიერით მსოფლიოს ჩემპიონატს ადარებდნენ, თქვენი სპორტის სასახლის ტატამზე გამოსვლა კი ნებისმიერი ძიუდოისტისათვის მეტად საპატიო და პრესტიჟული იყო. შოთა ხაბარელთან საუბარმა დამარწმუნა, რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირი თავისი სიძლიერით კვლავ მოიზიდავს მსოფლიოს რჩეულ ფალავნებს. მე კი გპირდებით, მოლდოვის ნაკრები წლეულსაც საუკეთესო შემადგენლობით ეწვევა თბილისს.

**სოსო ქოტორეიშვილი**

1998 GOODWILL GAMES

# ცრემლიანი ტრიუმფი

ოთხშაბათს კეთილი ნების თამაშებზე ბევრის მიერ ყველა დროის საუკეთესო მძლეოსან ქალად მიჩნეული ჯეკი ჯოინერ-კერსის დიდ სპორტთან მეტად ემოციური გამოთხოვება შედგა. შვიდჭიდში ექვსი დისციპლინის შემდეგ ჯოინერ-კერსი უახლოეს მდევარს — დიდი ნათანს 46 ქულით უსწრებდა და ბრწყინვალე კარიერის საკადრისად დასასრულებლად 800 მეტრის ისე გარბენა მართებდა, მეტოქესთან 3,5 წამზე მეტი არ წაეგო.

განერვიულებულმა ამერიკელმა სტარტის წინ ცრემლებიც გადმოყარა, ტუჩები და თითებიც დაიკვნიტა, მაგრამ თავისთვის ყველაზე უხერხული დისტანცია მაინც რიგიანად გაირბინა, ნათანს 2 წამზე ნაკლებით ჩამორჩა და საბოლოოდ 6502 ქულა დააგროვა (სეზონის საუკეთესო შედეგი), მეორეადგილოსანზე 23-ით მეტი.

ჯოინერ-კერსი ცრემლებად გამარჯვების შემდეგაც დაიღვარა, ოღონდ ამჯერად მეუღლე და მწვრთნელი — ბობ კერსი, მამა და სტადიონის სენტიმენტალურად განწყობილი ნაწილიც აიყოლია. „არც მჯერა, რომ მოვიგე“ — განაცხადა ჯეკიმ, „არც მე მჯერა“ — კვერი დაუკრა ბობმა, რომელმაც მეუღლეს ჯერ მთელი ბოთლი წყალი გადაასხა თავზე, მერე კი სტადიონზევე გადაეხვია.

ჯეკი ჯოინერ კერსი მართლაც რომ ლეგენდარული მძლეოსანია. გარდა იმისა, რომ შვიდჭიდში ოთხივე კეთილი ნების თამაშებზე უმარჯვია, იგი 1988 და 1992 წლების ოლიმპიური ჩემპიონია, სეულში ოქრო სიგრძეზე ხტომაშიც მოუგია და კოლექციაში ორი ოლიმპიური ბრინჯაო და ერთი ვერცხლიც აქვს. ამერიკელი ერთადერთი შვიდჭიდელია, რომელმაც 7000 ქულაზე მეტი დააგროვა, თანაც კარიერაში ხუთჯერ.

ჯოინერ-კერსის გამარჯვებამ თითქმის დაჩრდილა ის ფაქტი, რომ ამერიკელთა გუნდმა 4X400 მეტრზე ამანათრბენში იმავე დღეს მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 2 წუთი და 54,20 წამი. ამერიკელებმა ჯერომ იანგის (44,4) ტირე ვაშინგტონის (43,5), ანტონიო პეტიგრიუსა (3,2) და მაიკლ ჯონსონის (43,1) შემადგენლობით 1993 წლის შტუტგარტის მსოფლიო ჩემპიონატზე დამყარებული თავისივე მსოფლიო რეკორდი 0,09 წამით გააუმჯობესეს. „ჩვენ გვინდოდა, რაღაც განსაკუთრებული გაგვეკეთებინა ნიუ იორკის, აშშ-ისა და კეთილი ნების თამაშებისთვის“ — ახსნა პეტიგრიუმ.



ჯეკი ჯოინერ-კერსი

ამასობაში კი წყალბურთელებმა გამარჯვებულიც გამოავლინეს. ფინალში რუსეთის გუნდი, რომელიც წინა კეთილი ნების თამაშების ჩემპიონიც გახლავთ, ესპანელებთან თავიდანვე 5:0 დაწინაურდა და ამხელა უპირატესობა ხელიდან აღარც გაუშვია — 11:5. გამარჯვებულთა შორის ტურნირზე საქართველოდან გადახვეწილმა რევაზ ჩომახიძემ გამოიჩინა თავი — იგი ოთხ მატჩში 9 გატანილი ბურთით თამაშების საუკეთესო ბომბარდირი გახდა და მოგვიანებით ჟურნალისტების კითხვებზეც სწორედ მას უხდებოდა პასუხის გაცემა: „მოულოდნელი იყო დასაწყისში ასე დიდი უპირატესობის მოპოვება. ესპანეთი ძლიან გამოცდილი გუნდია, მაგრამ ჩვენ თავისუფლად ვირჯებოდით და ყველაფერი გამოგვდიოდა“.

მესამე ადგილისათვის მატჩში იტალიელებმა აშშ-ს მოუგეს — 8:7.

**ზაზა მამეშვილი**

### სირბილი

5000 მეტრი. კაცები.

1. ლუკე კიპკოსგეი (კენია) — 13:20,27; 2. ხალიდ ბულამი (მაროკო) 13:20,66; 3. ტომ ნიარიკი (კენია) 13:23,34.

ამანათრბენი 4X100 მეტრზე. კაცები

1. აშშ (ჯონ დრამონდი, ტიმ ჰარდენი, დენის მორელი, მორის გრინი) 37,90; 2. კანადა — 38,23; 3. კუბა — 39,34.

10 000 მეტრი. ქალები

1. ტეგლა ლორუპე (კენია) 32:15,44; 2. სალი ბარსოსიო (კენია) 32:50,16; 3. დონგ იანმეი (ჩინეთი) 32:59,85.

ამანათრბენი 4X100 მეტრზე. ქალები

1. აშშ (შერილ ტეპლინი, კრისტი გეინსი, ენჯი ვონი, კარლეტ გიდრი) 42,06; 2. ბაჰამები — 42,19; 3. რუსეთი — 42,62.

ამანათრბენი 4X400 მეტრზე. ქალები

1. იამაიკა (შარმინ ჰოუელი, სენდი რიჩარდსი, ტრეისი ბარნსი, დეონ ჰემინგსი) 3:24,76; 2. აშშ 3:24,81; 3. რუსეთი 3:25,58.

### ტანვარჯიში

რგოლები. კაცები.

1. კრის ლამორტი (აშშ) 9.700; 2. ივან ივანკოვი (ბელარუსი) — ალექსეი ბონდარენკო — ორივეს 9,675.

ხტომა. კაცები.

1. სერგეი ფედორჩენკო (ყაზახეთი) 9.650; 2. ნიკოლაი კრიუკოვი (რუსეთი) 9.600; 3. ერიკ ლოპეს რიოსი (კუბა) 9.575.

თავისუფალი ვარჯიში. ქალები

1. ვანესა ატლერი (აშშ) 9.775; 2. სიმონა ამანარი (რუმინეთი) 9.725; 3. კორინა ურგურეანუ (რუმინეთი) 9.650.

**რუსეთის** ნაკრებს ახალი თავკაცი ჰყავს — სეზონის დასაწყისში ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერის, ამჟამად მეორე ადგილზე მყოფი სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ მთავარი მწვრთნელი, 52 წლის ანატოლი ბიშოვეცი. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც მისმა ერთადერთმა კონკურენტმა, მიხეილ გერშკოვიჩმა კანდიდატურა მოხსნა და გზა ბიშოვეცს დაუთმო. გერშკოვიჩმა თავკაცობისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ გასულ თვეში, ბორის იგნატიევის გადადგომისთანავე დაიწყო და საკმაოდ ბევრი სახელოვანი მომხრე ჰყავდა ვიაჩესლავ კოლოსკოვის მეთაურობით. როგორც მოგეხსენებათ, იგნატიევი პოსტიდან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში წარუმატებელი გამოსვლისთვის გაათავისუფლეს.

# რუსთა ახალი, ძველი იმედი

## ანატოლი ბიშოვეცი ისევ ნაკრების მწვრთნელია

მიუხედავად ასეთი მხარდაჭერისა და პოპულარობისა, გერშკოვიჩმა შეიგნო, რომ გამარჯვებას ვერ მიაღწევდა და, ალბათ, ამიტომაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. ბიშოვეცის წარმატების მთავარი მიზეზი კი, როგორც აღმოჩნდა, რუსეთის მთავრობის ხელშეწყობა გახლავთ. კრემლის ოფიციალურ წარმომადგენლებს პირდაპირ მოუთხოვიათ, რომ ნაკრებისთვის მას ეხელმძღვანელა.

წარსულში ცნობილ ფეხბურთელ ანატოლი ბიშოვეცს უმაღლეს დონეზე ფეხბურთის თამაშის გარდა დიდი სამწვრთნელო პრაქტიკაც გააჩნია — 1988 წელს მისი თავკაცობით საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ოლიმპიური ოქროს მედლები მოიპოვა, რაც, ბუნებრივია, ბიშოვეცის უპირატესობას კიდევ უფრო ზრდიდა.

მოკლედ, რუსეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატისთვის ახალი მწვრთნელი მოამზადებს. ამის თაობაზე საბოლოო, ოფიციალური განცხადება გუშინ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ალექსანდრ სოლოვიოვმა გააკეთა. თავად ბიშოვეცმა კი აღნიშნა:

„მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ გადავწყვიტე, ამ წინადადებას დავთანხმებულიყავი. ჩემი აზრით, რუსეთის ნაკრები, ისევე როგორც მთელი სამამულო ფეხბურთი, ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს. ჩემი მხრივ ყველანაირად ვეცდები, ეს პროცესი არ დაგვიანდეს და, ბოლოს და ბოლოს, რუსებმა ღირსეული ფეხბურთი აჩვენონ.

მე აქ სამუშაოდ დიდი ხნით, 2002 წლამდე მოვედი და შესაბამისად შედეგის მიღწევას დღესვე არ ვგეგმავ. ამაზე ფიქრი სისულელე იქნებოდა.“



### ანატოლი ბიშოვეცი

დაიბადა 1946 წელს, უკრაინაში, კიევში
1964-73 თამაშობდა კიევის „დინამოში“. იყო თავდამსხმელი. 139 თამაშში გაიტანა 49 გოლი. ოთხჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. 1966 წელს მოიპოვა ჩემპიონობაცა და თასიც.
1969-72 საბჭოთა კავშირის ნაკრებში ითამაშა 40-ჯერ, გაიტანა 15 გოლი, მათ შორის მექსიკაში 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე.
1973-86 მუშაობდა კიევის „დინამოს“ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელად, შემდეგ უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებს ედგა სათავეში, აგრეთვე წვრთნიდა საბჭოთა კავშირის 16-წლამდელთა ნაკრებს, რომელიც 1982 წელს ევროპის პირველობის ვიცე-ჩემპიონი გახდა.
1986-88 იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი. გახდა სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი.
1988-90 მუშაობდა მოსკოვის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად.
1990-92 იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების (სნგ-ს გაერთიანებული გუნდის) მთავარი მწვრთნელი. მონაწილეობდა 1992 წლის ევროპის ჩემპიონატზე.
1992-93 მუშაობდა კვიპროსზე ლიმასოლის AEL-ის მთავარ მწვრთნელად.
1994-97 იყო კორეის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი.
1997-98 სათავეში ედგა ლენინგრადის „ზენიტს“.

# უეფა სუპერლიგის შექმნას ებრძვის

უკვე აღარავისთვისაა ახალი, რომ ევროპის ბობოლა კლუბების ხელმძღვანელები გაერთიანებასა და სუპერლიგის შექმნას აპირებენ. თუმცა ევროპის ფეხბურთის მაკონტროლებელი ორგანიზაცია — უეფა ამ წამოწყების წინააღმდეგია და ყოველგვარად ცდილობს სიახლის წამოწყების მსურველებს ხელი შეუშალოს.

გუშინ უეფას შტაბ-ბინიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ სპორტის ევროპული მამები ყველა ღონეს იხმარენ, რათა თავიანთი ეგიდით გამართულ ასპარეზობებს უფრო მეტი ეშხი შემატონ, რითაც ევროთასებისა და განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგის პრესტიჟის გადარჩენას შეძლებენ.

— ჩვენ კარგად ვიცით, რომ რამდენიმე კლუბმა შეთქმულება მოაწყო და ახალი, დამოუკიდებელი ლიგის შექმნა გადაწყვიტა. ისინი შეძლებისდაგვარად ფარულად მოქმედებენ და ცდილობენ, თავიანთი ჩანაფიქრი ბოლო მომენტამდე საიდუმლოდ შეინახონ. თუმცა სარწმუნო წყაროებიდან უკვე მივიღეთ შეტყობინება, რომ მათ ბანაკში ყველაფერი კარგად ვერ არის. რამდენიმე კლუბი, რომლებმაც სუპერლიგის ორგანიზატორთა სურვილის მიხედვით მათ მიერ მოწყობილ ტურნირში უნდა მიიღონ მონაწილეობა, ახალ წამოწყებას ენთუზიაზმით არ შეხვდა და საკუთარ ჩემპიონატში თამაშის გარდა სხვაგან გამოსვლა არ სურთ — ვკითხულობთ უეფას წარმომადგენლის განცხადებაში.

როგორც მოგეხსენებათ, სუპერლიგის შექმნაზე უკანასკნელი 18 თვის მანძილზე გამუდმებით იყო ლაპარაკი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მომავალი ტურნირის შესაძლო წევრებსაც და თამაშების განრიგსაც კი ასახელებდნენ. თუმცა ჯერჯერობით არც ერთ სავარაუდო კანდიდატს თავისი თანხმობა ოფიციალურად არ გამოუთქვამს.

ყველაფრის მიუხედავად, უეფა არ აპირებს გულზე ხელის დაკრეფას და განზე დგომას. ევროპული ფეხბურთის მამები წაგებას, რა თქმა უნდა, არაფრით შეურიგდებიან და ამიტომ ყოველგვარი მოულოდნელობების თავიდან ასაცილებლად აქტიურ ქმედებებს მიმართავენ.

ამის დასტურად თუნდაც ისიც გამოდგება, რომ ჩემპიონთა ლიგისთვის მეტი ინტერესის მისაცემად მათ ეროვნულ ჩემპიონატებში გამარჯვებულის გარდა ტურნირში მეორე ადგილზე გასული გუნდებიც დაუშვეს. უნდა ითქვას, რომ სიახლეები ამით არ ამოწურულა. უეფას ლიგაში მოასპარეზე კლუბების ხელმძღვანელების გულის მოსაგებად ახალ დათმობაზე წავიდა, რის შედეგადაც 1999-2000 წლების სეზონში თითოეულ გუნდს ძველებული 6-ის ნაცვლად სულ მცირე ათი შეხვედრის ჩატარება ექნებათ გარანტირებული.

— უეფა ძირფესვიანი ცვლილებების გატარებას არც მომავალში მოერიდება. ჩვენი მიზანია, ევროპული გრანდები სწორედ ამ ორგანიზაციის ეგიდით გამართულ ტურნირებში იყვნენ ჩაბმულნი და ამისთვის უკან არაფერზე დავიხევთ — ამბობს ევროპის უპირველესი საფეხბურთო ორგანიზაციის კომუნიკე.

# კაცი, რომელმაც ძეგლი აიგო

დინო ძოფს, იტალიის ნაკრების ახალ მწვრთნელს, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში ერთხელ „ეროვნული ძეგლი“ უწოდეს.

და აი, ოთხშაბათს იტალიური ფეხბურთის ბერმუხამ „სკუადრა აძურა“ 2002 წლის 31 ივლისამდე ჩაიბარა. ამიერიდან მისი ამოცანა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში გამარჯვებაა.

56 წლის დინო ძოფს ნაკრებში ჩატარებული შეხვედრების იტალიური რეკორდი ეკუთვნის — 112. მისი ბრწყინვალე კარიერა 15 წელიწადს გრძელდებოდა, 59-ჯერ უკაპიტნა დიდმა გოლკიპერმა ეროვნულ გუნდს და 1982 წელს, მსოფლიოს თასი, სწორედ მან, 40 წლისამ აღმართა.

ვეტერანი მცველი ჯუზეპე ბერგომი მაშინ 18 წლის გახლდათ. იგი იგონებს:

„ორი აზრი არ არსებობს, დინო ძოფი იმ გუნდის ლიდერი იყო. შეხვედრებისთვის მწვრთნელი, ენცო ბეარზოტი გვამზადებდა, მაგრამ მას მხარში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ძოფი ედგა. დიახ, ის წინამძღოლი იყო მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ლაპარაკი არასდროს სჩვევოდა“.

„სკუადრა აძურას“ ფორმა ძოფმა პირველად 1968 წლის 20 აპრილს მოირგო. იმ შეხვედრაში ბულგარეთი დაამარცხეს იტალიელებმა 2:0.

1983 წლის 29 მარტს დიდმა მეკარემ ეროვნულ გუნდში ბოლო თამაში ჩაატარა. ანგარიში ამჯერადაც იგივე იყო, 2:0, ოღონდ მეტოქე შვედეთი გახლდათ.



ჩეზარე მალდინი მწვრთნელობიდან გადადგა და განცხრომაშია

ძოფის კარიერაში ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი 1970 წელს დაიწყო, როდესაც იგი ტურინის „იუვენტუსმა“ შეიძინა. „ბებერ ქალბატონთან“ ერთად მან ექვსჯერ მოიგო „სკუდეტო“ — იტალიის ჩემპიონის ტიტული.

ფეხბურთელის კარიერა რომ დაასრულა, ძოფმა ტურინის გუნდში ერთხანს მწვრთნელადაც იმუშავა და 1990 წელს უეფას და იტალიის თასები მოაპოვებინა.

„იუვენტუსთან“ გამოთხოვების შემდეგ დღეს უკვე ნაკრების მ წ ვ რ თ ნ ე ლ ი დედაქალაქში გადაბარგდა და „ლაციოში“ დაიწყო მუშაობა, სადაც ამ კვირის ოთხშაბათამდე დაჰყო. 1990-94 და 1996-97 წლებში იგი „ლაციოს“ მწვრთნელი იყო, ბოლოს კი პრეზიდენტი. იმ, 96-97 წლების სეზონში ძოფმა გუნდი 16 შეხვედრაში ორად ორი წაგებით გაატარა და მეოთხე ადგილზე გაიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დინო ძოფი

80-იანი წლების ბოლოს იგი ოლიმპიურ ნაკრებს ედგა სათავეში. სეულის 1988 წლის თამაშებზე გასასვლელად მისმა ახალგაზრდებმა დაუმარცხებელი შესარჩევი კამპანია განვლეს.

მას მერე დინო ძოფი პლანეტის ყველა დროის 25 საუკეთესო ფეხბურთელს შორის დაასახელეს. ამ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ გულშემატკივრები, საფეხბურთო მწერლები და საკუთრივ მოთამაშეები. მათი რჩეულნი ძოფის გარდა გახდნენ პელე, მიშელ პლატინი, ბობი ჩარლტონი...

დიახ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუჩანო ნიცოლამ ერთხელ მას „ეროვნული ძეგლი“ და ის კაცი უწოდა, „რომელმაც იტალიური ფეხბურთის განვითარებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა“.

ძოფის წინამორბედი, ჩეზარე მალდინი დაცვაზე ზედმეტი ზრუნვისთვის გააკრიტიკეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მარცხი მის ამ თვისებას მიაწერეს და თანამდებობიდან გადადგომა აიძულეს. ამბობენ, მალდინი ფეხბურთელობისას მცველი რომ იყო, მსოფლმხედველობაც შესაბამისი ჩამოუყალიბდაო.

ძოფი კი მეკარე გახლდათ...

# ფოგტსი დაუმს ემხრობა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანელთა წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ ქვეყანაში დიდი აჟიოტაჟი შეიქმნა ნაკრების 51 წლის თავკაცის ბერტი ფოგტსის გარშემო. თუმცა გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო ყრილობაზე გადაწყდა, რომ გუნდს 2000 წლის ჰოლანდია-ბელგიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატისთვის კვლავ ფოგტსი მოამზადებს. ამ გადაწყვეტილების შემდეგ იქაურ პრესაში არ წყდება კამათი იმის შესახებ, თუ ვინ იქნება გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კონტინენტის პირველობის შემდგომ პერიოდში. უმრავლესობის აზრით, ეს ან გასული სეზონის ბუნდესლიგური სენსაციის ფუძემდებელი, „კაიზერსლაუტერნის“ თავკაცი ოტო რეჰაგელი უნდა იყოს, ან დორტმუნდის „ბორუსიის“ სპორტული დირექტორი ოტმარ ჰიცფელდი. მიუხედავად საყოველთაო აზრისა, ფოგტსი, როგორც ყოველთვის, სხვაგვარად ფიქრობს და ამაზე გერმანულ გაზეთ „ბილდშიც“ ისაუბრა: „ოტო რეჰაგელსა და ოტმარ ჰიცფელდს ნაკრების სათავეში მოსვლის არანაირი შანსი არა აქვთ. მე, ისევე, როგორც გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა, ვფიქრობ, რომ საუკეთესო ვარიანტი ლევერკუზენის „ბაიერის“ მწვრთნელი კრისტოფ დაუმია. მას ყველა მონაცემი აქვს, რათა ნაკრების წარმატებით ასპარეზობაში დაეხმაროს“.




კრისტოფ დაუმი შარშან თბილისში „დინამოსთან“ სათამაშოდ ჩამოუძღვა „ბაიერს“

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**სხვა სახეობათა განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29